საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდ-ვუნი სიფფეკვაა, ფეფილებით და ჭიანებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 23 ივლისი. 2019 წ. №148 (8814) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ბიძინას ბიძინასგან

დაუსჯელი დანაშაული განმეორებადია

საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებისთვის 2019 წლის 18 ივლისი საეტაპო მნიშვნელობის დღედ შეიძლება იქცეს, თუ „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობა მოახერხებს პოლიტიკური პროცესის მაღალკვალიფიციურად წარმართვას. სამწუხაროდ, პირველი შთაბეჭდილებები იმედიან განწყობებს ვერ აღძრავენ, ამიტომ, ვფიძრობ, „რუსთავი-2“-ის „სუფთაზე“, „მშრალი ანგარიშით“ დამარცხებით გამოწვეულ ტკბობის ნირვანაში მყოფ სახელისუფლო გუნდს ცოტა შეჯანჯღარება არ აწყენდა.

შექმნილ ვითარებაში, მართებულად მიმაჩნია, ამ გუნდის უპირობო ლიდერს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს, ერთი გულშემატკივრული „მკვახე შეძახილი“ ამთავითვე „შევაშველოთ“.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, ამ ისტორიულ დღეს (ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე), საქართველოს მიმართ სამი გადაწყვეტილება გამოიტანა. რატომღაც ისე ხდება, რომ მთელი პოლიტიკური სპექტრის („ქართული ოცნების“ ჩათვლით) ყურადღება მთლიანად „რუსთავი-2“-ის თემაზეა კონცენტრირებული და ვაზაგაშვილისა და გოგალაძის უმძიმესი საქმეები, გადაწყვეტილების გამოცხადების პირველივე წუთებიდან, მეორე და მესამე პლანზე მოექცნენ.

აღნიშნული მოცემულობა იძლევა იმ დასკვნის საფუძველს, რომ ამ ყოველმხრივ წაგებული პოზიციიდანაც, „ნაცმოძრაობა“ ახერხებს, პროცესები მის მიერ შედგენილი დღის წესრიგით მართოს. მკვლელობაც, წამებაც და ძარცვაც მძიმე კატეგორიის დანაშაულებია და თუ მათ დახარისხებას შევეცდებით, ამ სამ დანაშაულს შორის ძარცვა ყოველთვის მესამე ადგილზე იქნება – ეს ისე, ცნობისთვის... და მეორე და მთავარი – ევროპული სასამართლოს 18 ივლისის გადაწყვეტილებებმა, ერთობლიობაში, სრულად წარმოაჩინა ყოფილი ხელისუფლების, როგორც სისტემური დამნაშავის, როგორც დანაშაულებრივი რეჟიმის სახე და შინაარსი.

იხ. 3 გვ.

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი (12)

23 ივლისი არის პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის აღნიშვნის დღე.

1999 წლის 23 ივლისიდან 28 ივლისამდე, ღია კოსმოსურ სივრცეში სრულად გაიშალა და წარმატებით გამოიცადა პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი, რომელიც 28 ივლისს ჩამოსცილდა ორბიტულ სადგურს და დაიწყო მოძრაობა დამოუკიდებელ ორბიტაზე.

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი - გასაშლელი რეფლექტორი მაქსიმალური გაბარიტით 6,42 მეტრი, დაპროექტდა, დამზადდა, წინასაფრენოსნოდ გამოიცადა, მომზადდა კოსმოსში გასაგზავნად და ორბიტაზე ჩასატარებელი ექსპერიმენტის ძირითადი მიმართულებები განისაზღვრა საქართველოში, საქართველოს მოქალაქეების მიერ.

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გენერალური კონსტრუქტორია აკადემიკოსი, გენერალ-მაიორი ელგუჯა მემმარიაშვილი.

უცხოეთში სასწავლებლად წასული ქართველი სტუდენტების ერთიანი ბაზა შეიქმნება

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის 30 წლის იუბილის აღსანიშნავ ღონისძიებაზე უნივერსიტეტის დამფუძნებლებს, სტუდენტებსა და მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართა. პრეზიდენტმა სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს წარმატებები უსურვა და იმედი გამოთქვა, რომ ისინი წარმატებული ექიმები იქნებიან ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ.

სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, საქართველო მედეას ქვეყანაა და მედიცინა ქართველებისათვის გენეტიკური დარგია. ამის მაგალითი კი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში წარმატებით მოღვაწე ქართველი ექიმები არიან. პრეზიდენტის განცხადებით, მნიშვნელოვანია მათთან კავშირებისა და კონტაქტების შენარჩუნება.

როგორც სალომე ზურაბიშვილმა აღნიშნა, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დაიწყო მუშაობა უცხოეთში სასწავლებლად წასული ქართველი სტუდენტების ერთიანი ბაზის შექმნაზე, რადგან ეს ჩვენი ქვეყნის უზარმაზარი ადამიანური კაპიტალია, რომელიც ბოლომდე გამოყენებული არ არის.

„თქვენ დაიწყეთ მნიშვნელოვანი საქმე – უცხოეთში სტუდენტების გაგზავნა, იქ მათი მომზადება, დაბრუნების ხელშეწყობა და მათთან კავშირების შენარჩუნება, რათა გააგრძელონ ჩვენი ქვეყნის დახმარება. აუცილებელია, ვიცოდეთ, ვინ წავიდა, ვინ დაბრუნდა და ვინ განაგრძობს საზღვარგარეთ საქმიანობას.

დარწმუნებული ვარ, რომ საქართველო უახლოეს მომავალში დაიბრუნებს თავის ადგილს მსოფლიო რუკაზე, როგორც სამედიცინო და სარეაბილიტაციო დარგში ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანა. სამედიცინო ტურიზმი ჩვენი ტურიზმის მნიშვნელოვანი დარგია“, – აღნიშნა პრეზიდენტმა.

„ცრუსთავი-2“-ის რევანშისტი, უზნეო, თავხედი ჟურნალისტების გასაგონად!

არჩის დამოუკიდებლობა არ ნიშნავს დესტრუქციული პიროვნებების ახირებისა და კაპრიზების შესრულებას!

2

ხევის სიონი ინგრევა!



ფეისბუქმომხმარებელი შორენა მარსაგიშვილი ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ სიონში მდებარე სამნავიანი ბაზილიკის, ხევის სიონის მდგომარეობაზე წერს: **„...არც კი ვიცი, ვის უნდა მივმართო, – ხელისუფლებას თუ საპატრიარქოს. ხევის სიონი ინგრევა“.**

გასულ წელს გადაუღებელმა წვიმებმა ტაძარს საძირკველი გამოურეცხა, ჩამოიშალა ტაძრის გალავანი. სოფელ სიონის მოსახლეობამ ეკლესიის მსახურებთან ერთად დაზიანებული ნაწილი შეაკეთა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. წელს ხევის სიონი ფაქტობრივად კატასტროფის წინაშეა და ნებისმიერი ძლიერი წვიმის შემდეგ შეიძლება ეს ულამაზესი ტაძარი ჩამოიშალოს. ხევის სიონის ეკლესიის კომპლექსი IX-X საუკუნის ძეგლია“, – წერს შორენა მარსაგიშვილი.

◎ „ცრუსთავი-2“-ის რევანშისტი, უზნეო, თავხედი ჟურნალისტების გასაგონად!

არხის დამოუკიდებლობა არ ნიშნავს დესტრუქციული პიროვნებების ახირებისა და კაპრიზების შესრულებას!

ქიბარ ხალვაშის განცხადება

რამდენიმე დღე გავიდა არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ მთელი ქართველი საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებიდან, რომელმაც ყველას დაანახა, რომ სამართალი, შეიძლება გვიან, მაგრამ აუცილებლად აღსრულდება.

რამდენიმე დღეა, რაც ჩვენი მაქსიმალური ძალისხმევით, მშვიდად და ცივილიზებულად ვცდილობთ განვაგრძოთ თანამშრომლობა.

18 ივლისს სტრასბურგის გადაწყვეტილების გამოქვეყნებისთანავე გავაკეთე განცხადება იმის თაობაზე, რომ არხზე ყველას შეეძლო დარჩენა და რომ ახალი მენეჯმენტი მზად იყო, ემუშავა უკლებლივ ყველა თანამშრომელთან, ნიკა გვარამიას გარდა. ასევე, ხაზგასმით ვთქვი, რომ სარედაქციო დამოუკიდებლობა იქნებოდა დაცული.

სამწუხაროდ, ჩემ მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე დაბრუნებული ტელეკომპანიის ეთერიდან ამ რამდენიმე დღის განმავლობაში ბევრი რამ მოვისმინეთ ისეთი, რაც სწორედ იმ პრინციპებს ეწინააღმდეგება, რასაც სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლო ეფუძნება. ჩემთვის ყველაზე შოკისმომგვრელი არის ის განცხადებები, რომლებიც პირდაპირ მიმართულია ევროპული სასამართლოს და მისი მოსამართლეების დისკრედიტაციისაკენ და უნისონშია ჩემს მიერ გათავისუფლებული გენერალური დირექტორის განცხადებებთან. ვშიშობ, რომ ამგვარი დამოკიდებულება აღვივებს ანტიდასავლურ განწყობებს. ეს კი დიდი ალბათობით უარყოფითად აისახება არხის პოპულარობასა და რეიტინგზე. იმედს ვიტოვებ, რომ ეს მიზანმიმართულად არ ხდება.

მიუხედავად ამისა, ჩვენ მშვიდად ვაგრძელებთ მუშაობას და ჩემ მიერ დანიშნული დირექტორი, კონსულტანტებთან ერთად, პრაქტიკულად 24-საათიან რეჟიმში ეცნობა კომპანიაში არსებულ ვითარებას, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, ურთულესია.

ჩვენ უნდა დავძლიოთ ეს კრიზისი და უზრუნველვყოთ არხის გამართული მუშაობა.

ასეთ ვითარებაში, როდესაც, ერთი მხრივ, კომპანიის დირექტორი მაქსიმალურ ძალისხმევას მიმართავს არსებული პრობლემების გადასაწყვეტად, ხოლო, მეორე მხრივ, ეთერიდან გვესმის ჟურნალისტების აბსოლუტურად დაუსაბუთებელი განცხადებები, რომლებიც აცდენილია არხის მიერ დეკლარირებულ ღირებულებებს, როდესაც, ნებსით თუ უნებლიეთ, ხდება დასავლური ინსტიტუტების დისკრედიტაცია, ვფიქრობ, რომ კომპანიას აუცილებლად სჭირდება სწორედ დასავლური გამოცდილების მქონე მედია-მენეჯერი, რომელიც დაეხმარება არხს მაღალი ხარისხის, ჟურნალისტური სტანდარტების შესაბამისი, კრიტიკული სატელევიზიო პროდუქტის შექმნაში.

მე დაწყებული მაქვს შესაბამისი კადრის მოძიების პროცესი. სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში შეირჩევა და დაინიშნება მაღალი რეპუტაციის და დიდი სატელევიზიო გამოცდილების მქონე ევროპელი ან ამერიკელი მედია-მენეჯერი.

ბუნებრივია, საკუთარი სიტყვის ერთგული ვრჩები და კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ სარედაქციო დამოუკიდებლობა იქნება გარანტირებული. თუმცა აქვე მინდა, ყველას ვუთხრა, რომ სარედაქციო დამოუკიდებლობა არ ნიშნავს ვინმეს ახირებების და კაპრიზების შესრულებას, დესტრუქციული ამოცანების მქონე პირების გემოვნებაზე მორგებას და მათი ეთიკის ჩარჩოებში ოპერირებას. სარედაქციო დამოუკიდებლობის სრულფასოვანი რეალიზება მხოლოდ საერთაშორისოდ აღიარებული მედიასტანდარტების პირობებშია შესაძლებელი.

მიმაჩნია, რომ ჩვენი სარედაქციო პოლიტიკა და ჟურნალისტთა დამოუკიდებლობა უნდა გამომდინარეობდეს იმ საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპებიდან, რომლებსაც ეფუძნება თანამედროვე ცივილიზებული მედია. ესაა ჟურნალისტის პროფესიული თავისუფლების პირობებში მიღწეული მიუკერძოებლობა და გავრცელებული ინფორმაციის სიზუსტე, რამაც სანდოობა და საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულების მაღალი ხარისხი უნდა უზრუნველყოს; ამავე დროს, გამოხატვის თავისუფლება იმგვარად უნდა იყოს უზრუნველყოფილი, რომ არ მიაყენოს ზიანი ან შეურაცხყოფა აუდიტორიას, დაიცვას ეთიკური სტანდარტი და არ დაუშვას შეგნებულად სიცრუის და ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელება, ყველა მხარეს უნდა მიეცეს აზრის და პოზიციის გამოხატვის საშუალება.

ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპები, დარწმუნებული ვარ, ჟურნალისტებისთვის ახალი არაა და მჯერა, რომ ამ პრინციპების დაცვით შევძლებთ ერთობლივ მუშაობას. სწორედ ამ პრინციპების და სტანდარტების განუხრელად დაცვის ხელშესაწყობად ვარჩევთ მაღალი რეპუტაციისა და დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე უცხოელ მედია-მენეჯერს და დარწმუნებული ვართ, რომ არხზე ამჟამად მომუშავე პროფესიონალები იოლად გამონახავენ მასთან საერთო ენას.

სასამართლომ ოქრუაშვილის სარჩელი არ დააკმაყოფილა

თბილისის **საქალაქო სასამართლომ ირაკლი ოქრუაშვილის სარჩელი „რუსთავი-2“-ში ქიბარ ხალვაშისა და „პანორამას“ წილების დაყადაღებაზე არ დააკმაყოფილა,** — ამის შესახებ პარტია „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერმა ირაკლი ოქრუაშვილმა ბრიფინგზე განაცხადა.

„საქალაქო სასამართლომ უარი გვითხრა **„რუსთავი-2“-ის წილებზე ყადაღის დადებაზე იურისტებისთვის სრულიად სასაცილო მოტივით, თითქოს მოთხოვნა წილებზე ყადაღის დადებაზე უნდა გაგვეკეთებინა სარჩელის შეტანასთან ერთად. ჩვენ სარჩელი არ შეგვიტანია, ვაპირებთ. კანონით 10 დღის ვადა გვქონდა იმისთვის, რომ ეს სარჩელი წარგვედგინა“,** — განაცხადა ოქრუაშვილმა.

ოქრუაშვილის თქმით, ახლა ორი არჩევანის წინაშე დგანან.

„ახლა გვაქვს არჩევანი — გავასაჩივროთ ეს განჩინება, თუ შევიტანოთ სარჩელი და ხელახლა მოვითხოვოთ ყადაღა. ამაზე იურისტებთან ერთად ვიმსჯელებთ. გადაწყვეტილებას ოთხშაბათს საღამომდე მივიღებთ“, — აღნიშნა ოქრუაშვილმა და განმარტა, რომ სწორედ ოთხშაბათს საღამომდეა ძალაში საჯარო რეესტრში მათი განაცხადი, რომელიც წილების გასხვისებაზე აკრძალვას ეხება. ირაკლი ოქრუაშვილის ადვოკატმა სასამართლოს 19 ივლისს მიმართა და ტელეკომპანიის ქონების წინასწარ დაყადაღება მოითხოვა, რადგან ოქრუაშვილი აპირებს სასამართლოში სარჩელის შეტანას „რუსთავი 2“-ის წილებზე მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით.

ირაკლი ოქრუაშვილის მტკიცებით, მასსა და ქიბარ ხალვაშს შორის ბერლინში, 2010 წელს გაფორმდა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, ხალვაში „რუსთავი-2“-ის მხოლოდ ფორმალური მმართველი უნდა ყოფილიყო და შეთანხმებაზე ხელმოწერა, ექსპერტიზის სამი დასკვნითაა დადასტურებული.

ქიბარ ხალვაშის ადვოკატი და „რუსთავი-2“-ის ახალი გენერალური დირექტორი პაატა სალია კი ამტკიცებს, რომ დოკუმენტები, რაზეც ირაკლი ოქრუაშვილი და მისი ინტერესების დამცველები საუბრობენ, გაყალბებულია.

ქიბარ ხალვაში ოქრუაშვილის წინააღმდეგ გამოძიების დაწყებას ითხოვს

„რუსთავი-2“-ის მფლობელის ქიბარ ხალვაშის ადვოკატმა ნინო ბარაჩაშვილმა ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ გენერალურ პროკურატურას მიმართა.

ადვოკატმა უწყებაში შესაბამისი განცხადება შეიტანა, რომლითაც ოქრუაშვილის წინააღმდეგ გამოძიების დაწყებას ითხოვს.

„მოგახსენებთ, რომ დღეს განცხადებით მივმართეთ გენერალურ პროკურატურას გამოძიების დაწყების მოთხოვნით, ვინაიდან ირაკლი ოქრუაშვილის მხრიდან ყალბი დოკუმენტების გამოყენებით ადგილი აქვს ქონებრივი უფლების მიღების მცდელობას. ხელმოწერების ნამდვილობასთან დაკავშირებით სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში დანიშნულია ექსპერტიზა, შესაბამისად, დაველოდოთ ექსპერტიზის პასუხებს, გამოძიების პასუხებს“, — განაცხადა ბარაჩაშვილმა.

ირაკლი ოქრუაშვილის მტკიცებით, მასსა და ქიბარ ხალვაშს შორის ბერლინში 2010 წელს გაფორმდა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, ხალვაში „რუსთავი-2“-ის მხოლოდ ფორმალური მმართველი უნდა ყოფილიყო და შეთანხმებაზე ხელმოწერა, ექსპერტიზის სამი დასკვნითაა დადასტურებული.

ქიბარ ხალვაშის ადვოკატები ამტკიცებენ, რომ დოკუმენტები, რაზეც ირაკლი ოქრუაშვილი და მისი ინტერესების დამცველები საუბრობენ, გაყალბებულია.

* * *

გუშინვე დავით დვალის სახელით ადვოკატმა ნინო ბარაჩაშვილმა პროკურატურაში სარჩელი შეიტანა.

ბარაჩაშვილი აცხადებს, რომ სარჩელის შეტანის მიზეზი, ირაკლი ოქრუაშვილის მიერ ყალბი დოკუმენტებით ქონების მიტაცების მცდელობაა. შეგახსენებთ, რომ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ „რუსთავი2“-ს მფლობელად ქიბარ ხალვაში გამოცხადდა, თუმცა ირაკლი ოქრუაშვილი ამტკიცებს,რომ „რუსთავი 2“-ის 100%-იანი წილის მფლობელი თვითონაა.

დავით დვალის და ჯარჯი აქიმიძის ადვოკატის განცხადებით კი დოკუმენტები, რომელზე დაყრდნობითაც ირაკლი ოქრუაშვილი სასამართლოში ჩივის და „რუსთავი-2“-ის დაბრუნებას ითხოვს, ყალბია. ადვოკატი ამბობს, რომ პროკურატურას სწორედ გაყალბებული დოკუმენტის გამო გამოძიების დაწყებას სთხოვენ.

ნაცმოძრაობა:

სისტემური მკვლელი, მწამებელი, მძარცველი, დამყაჩაღებელი, რეკეტიორი!



ბიძინას ბიძინასგან

დაუსჯელი დანაშაული განმეორებადია

(პირველი გვერდიდან)

ურმით მოსიარულე სამართალმა, როგორც იქნა, მიაღწია დანიშნულების ადგილამდე. ახლა, როგორც სპორტსმენები იტყვიან ხოლმე, „ყველაფერი ტექნიკის საქმეა“.

განსახილველ საკითხს დიდი პოლიტიკური შემადგენელიც ახლავს. ვფიქრობ, ამ ორი მხარის ერთ კონტექსტში მოქცევა მნიშვნელოვანი დასკვნებისა და, პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების პირობა უნდა იყოს. **სტრასბურგის სამართლებრივი შეფასებებიდან გამომდინარე, ასეთი შინაარსის პოლიტიკური შეფასებები იკვეთება:**

1) ვაზაგაშვილის საქმე – სააკაშვილის რეჟიმი არის მკვლელი რეჟიმი(!). თუ აღნიშნულს სხვა მკვლელობის საქმეებთან (გირგვლიანი, რობაქიძე, გამცემლიძე, შავაძე, ე.წ. „ციხის ბუნტი“, ნავთლუღის სპეცოპერაცია, შავ ზღვაში ნავიდან გადაყრილი პირები, 26 მაისს უმოწყალოდ დახოცილები და სხვა მრავალი – ასზე მეტი ფაქტი) ერთობლიობაში განვიხილავთ, სახეზეა სისტემური მკვლელობების პრაქტიკა, ანუ „ნაცმოძრაობა“ სისტემური მკვლელია;

2) გოგალაძის საქმე – სააკაშვილის რეჟიმი არის მწამებელი რეჟიმი(!). თუ აღნიშნულს სხვა წამების საქმეებთან (თეთრაძის, მოლაშვილის, მიცვალებულებზე „სკოჩით“ მიბმული ადამიანებისა და კასრებში გადამალული ვიდეოჩანაწერების საქმეები და სხვა მრავალი) ერთობლიობაში განვიხილავთ, სახეზეა სისტემური წამებების პრაქტიკა, ანუ „ნაცმოძრაობა“ სისტემური მწამებელია;

3) „რუსთავი-2“-ის საქმე – სააკაშვილის რეჟიმი არის მძარცველი და დამყაჩაღებელი რეჟიმი(!). თუ აღნიშნულს სახელისუფლო რეკეტის სხვა საქმეებთან (მაგალითად მარტო ტელევიზიების საქმეებიც იკმარებს: „იმედი“, „იბერია“, დაყადაღებული ანტენები... გარდა ამისა, ე.წ. „ღამის ნოტარიუსების“ საქმეები, ას და ათასლარიანი ძონებების მილიონებად იძულებით შესყიდვის ფაქტები, პროკურატურის თაროებზე შემოწყობილი ძონების წართმევის ასეულობით საქმე, რომელთა მხოლოდ მცირე ნაწილი დაუბრუნდა კანონიერ მესაკუთრეებს და სხვა მრავალი) ერთობლიობაში განვიხილავთ, სახეზეა სისტემური ძარცვის, ყაჩაღობის, რეკეტის პრაქტიკა, ანუ „ნაცმოძრაობა“ სისტემური მძარცველი, დამყაჩაღებელი და რეკეტიორია;

4) „რუსთავი-2“-ის საქმიდან ნიკოლოზ გვარამიას ეპიზოდი – ეს თემა განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, რადგან საქმე მიმდინარე პროცესს ეხება. ევროპის სასამართლო საგანგებოდ აღნიშნავს, რომ **„რ-2“-ის დირექტორი „სისტემატურად ცდილობდა სასამართლო სისტემის წარმომადგენლების პროვოცირებას სხვადასხვა შინაარსის შეურაცხყოფების გზით** (დოკუმენტში შეურაცხმყოფელი გამონათქვამების ჩამონათვალს ერთი მოზრდილი აბზაცი ეთმობა), **გავლენიანი მედიასაშუალების გამოყენებით“**. შეურაცხყოფის ერთი შემთხვევა ცალკე არის გამოყოფილი („ზონდერ-მოსამართლე“), რასაც ასეთი შეფასება ახლავს – „აქვს ნაცისტური კონოტაცია“.

როგორც უკვე აღვნიშნე, სასამართლო სისტემის დისკრედიტაცია უწყვეტ რეჟიმში მიმდინარე ორგანიზებული პროცესია, რომელშიც მონაწილეობს მთელი ე.წ. ოპოზიციური სპექტრი და რომლის მიზანიც ამ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო ინსტიტუციაში დამანგრეველი რყევების გამოწვევაა. ევროპული სასამართლოს მიერ დაგმობილი გვარამიასეული გამონათქვამები ხშირად გვხვდება სასამართლოს დისკრედიტაციაზე ორიენტირებულ სხვა ორგანიზაციათა და კერძო პირთა ლექსიკაშიც.

ბუნებრივია, ევროპული სასამართლო რასაც არამართებულად მიიჩნევს გვარამიას მხრიდან, მიუღებლად უნდა ითვლებოდეს ყველა სხვა დანარჩენის, მაგალითად, ოპონირების „ნაც-კულტურის“ გამზიარებელი ჯანეზაშვილ-დოლიძეების, ბესელია-გოგიჩაიშვილების და სხვა მათ მსგავსთა მხრიდანაც. **ევროსასამართლოს შეფასება უნდა იქცეს მოსამართლეების მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვის პრეცედენტული ხასიათის სტანდარტად.**

2019 წლის 18 ივლისიდან, უკვე ოფიციალურად, როგორც ცალკეულ მოსამართლეთა, ისე მთელი სასამართლო სისტემის დამამცირებელი ეპითეტებით „შემკობა“ (მათ შორის, მიმართვა – „კლანი“), ისეთივე დაგმობას უნდა იმსახურებდეს, როგორც ეს ევროსასამართლომ გააკეთა ნიკოლოზ გვარამიას მიმართ მისი მადისკრედიტირებელი განცხადებების გამო.

ბატონო ბიძინა, ვფიქრობ, **მაღალი პასუხისმგებლობის მატარებელი საერთაშორისო ორგანოს სამართლებრივი გადაწყვეტილებებით გამყარებული, ზემოთ ჩამოთვლილი პოლიტიკური შეფასებები და დასკვნები, უნდა გახდეს „ქართული ოცნების“ ახალი სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი. საზოგადოებას სამართლიან გარემოში ცხოვრება სწყურია და ქვეყნის ნგრევაზე მომართული, ყოველმხრივ სახელგატეხილი, მრავალ დანაშაულში მხილებული ძალების აღვირახსნილი კამპანიები დიდი ხანია, ყელში აქვს ამოსული.**

წერილი დადებით ნოტაზე მინდა დავასრულო. ამის საშუალებას ისევ და ისევ ევროპული სასამართლოს 18 ივლისის გადაწყვეტილებები იძლევა:

5) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ **„რუსთავი-2“-ის საქმესთან დაკავშირებით, მოსამართლეების მიკერძოებულებას ან სამართლიანი სასამართლოს გარანტიების სხვა დარღვევას ადგილი არ ჰქონია – „არც ერთ მოსამართლეს არ აკლდა არც დამოუკიდებლობა და არც მიუკერძოებლობა“**. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სხვადასხვა მიზეზის გამო, პოლიტიკური კონტექსტით ჭარბად დატვირთულ, ყველაზე ანგაჟირებულ კერძო დავის საქმეზე, საქართველოს სასამართლომ მთლიანად და მისმა თითოეულმა ინსტანციამ ცალ-ცალკე, გამოავლინეს მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის მაღალი სტანდარტი;

6) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ **„რუსთავი-2“-ის საქმესთან დაკავშირებით, „არც „ქართული ოცნების“ კოალიცია, როგორც პოლიტიკური პარტია და არც რომელიმე სახელმწიფო ორგანო არ იყო მხარე სამართალწარმოებაში და არ ყოფილა დაკავშირებული მფლობელობის უფლების არსებით დავაში“**. სხვა სიტყვებით – საქართველოს ხელისუფლებამ და მმართველმა პარტიამ გამოავლინეს სრული პატივისცემა და ერთგულება დემოკრატიული ღირებულებების მიმართ და მთელი პროცესის განმავლობაში, სასამართლოს გადაწყვეტილებებზე პოლიტიკური ზეწოლის განხორციელების იოტისოდენა მცდელობაც კი არ ჰქონიათ.

ყოველივე ზემოთქმული რომ შევაჯამოთ, მივიღებთ ასეთ საერთო დასკვნას: ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ერთი მხრივ, **დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს ყოფილი ხელისუფლების ბრალეულობები მკვლელობის, წამებისა და სხვისი ქონების მიტაცების საქმეებში,** ხოლო მეორე მხრივ, **საქართველოს მოქმედმა პოლიტიკურმა ხელისუფლებამ, მმართველმა პარტიამ და სასამართლო ხელისუფლებამ, ქვეყნის ყველაზე რეზონანსულ და პოლიტიკურად უკიდურესობამდე დატვირთულ საქმეში, გამოავლინეს დემოკრატიის, თავისუფლებისა და სამართლიანი სასამართლოს მაღალი სტანდარტები.**

„ქართული ოცნების“ ამოცანაა, საზოგადოებას მომხდართან დაკავშირებით, ყველა წესის დაცვით (იმდენჯერ და იმ ხარისხში, რამდენსაც სტრასბურგის გადაწყვეტილებების სრულად გაცნობიერება მოითხოვს. „ოცნების“ ხელისუფლებავ, ისევ და ისევ – პიარს მიხედეთ, პიარს), **მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია.**

...და მთავარი, **ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს ყველა სამართლებრივი და პოლიტიკური (მაგალითად, რეჟიმის შეფასება) ბერკეტი, რომ პოლიტიკური საფარველის ქვეშ მოქმედ სუბიექტებს არ მიეცეთ ახალი, მძიმე დანაშაულების ჩადენის შესაძლებლობა.** მუდამ გვახსოვდეს – **დაუსჯელი დანაშაული განმეორებადია.** დამნაშავე „ნაცმოძრაობამ“ და მისმა ცალკეულმა წევრებმა, ახალი ხელისუფლების პირობებშიც, უამრავი ზიანი მიაყენეს ქვეყანას და ამას ერთი მარტივი მიზეზი აქვს – „გასდით და იმიტომ“ – მათთვის დანაშაულისთვის სათანადოდ არასდროს მოუთხოვიათ.

ბიძინა დვალი

P. S.

ისევ პიართან დაკავშირებით – ზუსტად ერთი თვეა, მაღალი პასუხისმგებლობის პირები, ჭკვიანური გამომეტყველებებით გვმოძღვრავენ, რომ თურმე განვითარებულ ქვეყნებში პოლიციელზე თავდასხმა და სახელმწიფო დაწესებულებებში შეჭრის მცდელობა უმძიმესი დანაშაულებია და როგორც წესი „ლექციას“ დაახლოებით ასეთი შინაარსის ფრაზით ასრულებენ ხოლმე – „ამისთვის, იცით, რა სასჯელებია?!.“

თქვე კაი დედმამიშვილებო, ამ დამუნათებებს, არ სჯობს, ჩვენთვის მისაბაძი დასავლეთის ერთი-ორი ქვეყნის კანონის ამონაწერი წაგვიკითხოთ, ან ტექსტი ეკრანზე გამოიტანოთ, ან გაზეთში დაბეჭდოთ, ან ინტერნეტგამოცემებში გაავრცელოთ? ამასაც კარნახი უნდა?

ბ. დ.

2010-2018 წლებში მშენებლობებზე 399 ადამიანი დაიღუპა!!!

ათასობით მშენებლობა მიმდინარეობს და ყველა მათგანი ვერ შემოწმდება!!!

16 ივლისს თბილისში მშენებლობაზე 16 წლის გიორგი ბეშკენაძე გარდაიცვალა. ის თბილისში სამუშაოდ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ გვიმრიანიდან იყო ჩამოსული. გასულ კვირას კიდევ ერთი მუშა გარდაიცვალა, შემთხვევა თუშეთი-ომალოს გზაზე, ჰესის მშენებლობაზე მოხდა. ამ ფაქტებზე, ისევე როგორც მანამდე სამუშაო პროცესის დროს, გარდაცვლილ ათობით მუშის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს, მაგრამ წინასწარი ინფორმაციით, ორივე შემთხვევაში ტრაგედიის მიზეზად შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევა სახელდება.

„ლიფტის სადემონტაჟო სამუშაოები მიმდინარეობდა დადგენილ სტანდარტთან შეუსაბამოდ, არ იყო კოლექტიური დამცავი საშუალებები, არ იყო ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, არ იყო საფრთხეები შეფასებული, ობიექტზე სამუშაოები მიმდინარეობდა ზედამხედველის გარეშე“, — ეს იმ დარღვევების ჩამონათვალია, რომელიც იმ მშენებლობაზე გამოვლინდა, სადაც ახალგაზრდა კაცი დაიღუპა. ობიექტი შრომის ინსპექციის დეპარტამენტის ინსპექტორმა მას შემდეგ შეამოწმა, რაც 16 წლის გიორგი ბეშკენაძე გარდაიცვალა.

ჯანდაცვის სამინისტროს შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსი ბექა ფერაძე „კომერსანტთან“ საუბარში ამბობს, რომ სამშენებლო ობიექტს იმ შემთხვევაში ამოწმებენ, თუ აქვთ ინფორმაცია, რომ არის დარღვევების მაღალი ალბათობა, თუ დაფიქსირდა უბედური შემთხვევა, ან ბოლო 5 წლის განმავლობაში ობიექტზე რამე კონკრეტული ინციდენტია მომხდარი.

„შრომის უსაფრთხოების კანონი რამდენიმე თვეა, რაც ფუნქციონირებს, ამიტომ მომეტებული საფრთხის შემცველ კომპანიას გეგმა-გრაფიკის მიხედვით ეტაპობრივად ვამოწმებთ. ბუნებრივია, ათასობით მშენებლობა მიმდინარეობს და ყველა მათგანი ვერ იქნება შემოწმებული. როგორც კი ჩვენამდე ინფორმაცია მოვიდა, რომ ინციდენტი მოხდა, ჩვენ დავიწყეთ მოკვლევის პროცედურები, შევაჩერეთ მთლიანად ობიექტზე სამუშაო პროცესი. სანამ არ მოხდება პრობლემის სრულად აღმოფხვრა, მათ მუშობის უფლება არ მიეცემათ. ეს არის ყველაზე მძიმე ტვირთი კომპანიისთვის. მოკვლევის დასრულების შემდგომ განისაზღვრება ჯარიმის ოდენობა. საჯარიმო სანქციები ჩვენი მხრიდან 100 ლარიდან 50 000 ლარის ფარგლებში მერყეობს“, — აცხადებს ბექა ფერაძე.

ჯანდაცვის სამინისტროს შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსი აცხადებს, რომ პირველი სექტემბრიდან ინსპექტორებს სამუშაო ადგილებზე დაშვების შეზღუდვები მოეხსნებათ, რაც უწყებას 2018 წელს მიღებული კანონის შრომის უსაფრთხოების შესახებ აღსრულების საშუალებას მისცემს.

„კომპანიებს აქვთ ვალდებულება, დანიშნონ უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც ყოველდღიურ რეჟიმში დაიცავს უსაფრთხოებას სამუშაო ადგილზე და შეაფასებს იქ არსებულ საფრთხეებს. ჩვენ ხშირ შემთხვევაში ვაწყდებით პრობლემას, რომ კომპანიები არ ნიშნავენ სპეციალისტებს და, შესაბამისად, გვაქვს ის შედეგი, რომელიც სამწუხაროა. ინტეგრირებული მონიტორინგის სისტემებს ვაყალიბებთ. მომდევნო კვირიდან შრომის ინსპექციის, მერიის ზედამხედველობის ინსპექციის და ეკონომიკის სამინისტროს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ ერთად დაკომპლექტებული ჯგუფები აქტიურად დაიწყებენ კონკრეტულად მშენებლობის შემოწმებას“, — განაცხადა ბექა ფერაძემ.

რადიკალურად განსხვავებული პოზიცია აქვს **ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) სოციალური პოლიტიკის პროგრამის დირექტორს. კოტე ერისთავი** „კომერსანტთან“ სახელმწიფო უწყების ბრალეულობაზე საუბრობს. მისი თქმით, ის, რომ არასრულწლოვანი სამშენებლო სექტორში არ უნდა მუშაობდეს, ეს სამშენებლო კომპანიის პასუხისმგებლობაა, თუმცა, იმის გამო რომ შემთხვევის პრევენცია ვერ მოხდა, თავისი წილი პასუხისმგებლობა სახელმწიფო სტრუქტურებმა უნდა აიღონ.

„დამატებით, განსაკუთრებული შესწავლა ამ ამბავს არ სჭირდება. ცხადია, რომ არასრულწლოვანი შრომის უსაფრთხოების კანონის მიხედვით არ უნდა იყოს დასაქმებული ისეთ ადგილას, სადაც მის ჯანმრთელობას პრობლემები შეექმნება. ერთი მხრივ, დარღვეული იყო შრომის უსაფრთხოების კანონი დამსაქმებლის მიერ და, მეორე მხრივ, შრომის ინსპექციამ ვერ მოახერხა თავისი ფუნქციის შესრულება, რომელიც მდგომარეობს ამგვარი საკითხების პრევენციაში. ახლა გვიდასტურებენ, რომ დარღვეული იყო კანონი და მიიღებენ შესაბამის ზომებს მაგრამ, ეს უკვე უმნიშვნელოა. სახელმწიფოს პირველადი ვალდებულებაა, მოახდინოს უბედური შემთხვევის პრევენცია და ჰქონდეს პრევენციისთვის საჭირო ეფექტიანი მექანიზმები“.

კოტე ერისთავი ამბობს, რომ შრომის ინსპექციის დეპარტამენტი აქტიურად უნდა ამუშავდეს, რადგან საწარმოები მასიურად უგულებელყოფენ უსაფრთხოების ნორმებს. საჭიროა ინსპექციის ძალა და მექანიზმი გამოვლინდეს, რათა გაჩნდეს შიში და ობიექტებმა უსაფრთხოების ნორმებზე პასუხისმგებლობა აიღონ. ერისთავის განმარტებით, აუცილებელია ინსპექტირების მექანიზმის კადრების და რეგიონული წარმომადგენლობის მხრივ გაძლიერება.

„შრომის ინსპექციის დეპარტამენტს დაახლოებით 40 ინსპექტორი ჰყავს, რეალურად ბევრად მეტი არის საჭირო, მათ კვალიფიციური კადრები სჭირდებათ. აღსანიშნავია ისიც, რომ დეპარტამენტი შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს განყოფილებაა, აუცილებლად უნდა მოხდეს დეპარტამენტის ადმინისტრაციული დამოუკიდებლობა“, — განმარტავს კოტე ერისთავი.

კოტე ერისთავი „კომერსანტთან“ საუბრისას სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურების არაეფექტურ მუშაობაზეც ამახვილებს ყურადღებას.

„მშენებლობის სექტორზე საუბრისას მარტო შრომის ინსპექციის პასუხისმგებლობა არ შემოდის, ასევე შემოდის მერიის ზედამხედველობის ინსპექციისა და ეკონომიკის სამინისტროს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსი. პრობლემა არის ის, რომ ამ სამ ინსპექციას შორის არ არის კოორდინაცია. საჭიროა, რომ ეს პრობლემა როგორც კრიზისი ისე აღიქვას სახელმწიფომ, შექმნას საბჭო, სადაც ამ სამივე ინსპექციის მობილიზება მოხდება, სადაც გამოიკვლევენ ხარვეზებს და შესაბამისი რეაგირება ექნებათ ამ ხარვეზებზე“.

16 წლის გიორგი ბეშკენაძის გარდაცვალებას გამოეხმაურა **თბილისის მერია.**

„ობიექტზე, სადაც უბედური შემთხვევა მოხდა, შეჩერებული იყო მშენებლობა 6 წლის მანძილზე. სამშენებლო სამუშაოები განახლდა 2019 წელს გაცემული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე. მუნიციპალური ინსპექციის მიერ ობიექტის შემოწმება მოხდა ჯერ კიდევ სამუშაოების განახლებამდე. შემოწმების შედეგად აღნიშნულ ობიექტს მიეცა მითითება უსაფრთხოების ნორმების გამოსწორებასთან დაკავშირებით, რომელიც მშენებელმა გამოასწორა კანონით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად.უბედური შემთხვევა უკავშირდება შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევას“, — განმარტავენ თბილისის მერიაში.

შრომის უსაფრთხოების თვალსაზრისით ქვეყანაში არსებულ ვითარებას აღწერს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც დასაქმების ადგილებზე 2010 წლიდან 2018 წლამდე 399 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 1183 დაშავდა.

ბაჩო ადამია

ავტობიზნესი საქართველოში

ავტომობილების ექსპორტში აზერბაიჯანმა უპირობო ლიდერობა დაიბრუნა

საქართველოსთვის ავტომობილების ბიზნესს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იმპორტთან ერთად ექსპორტშიც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. პორტებში შემოყვანილი მანქანები თითქმის 85% სამი ქვეყნის მიმართულებით იგზავნება.

2018 წელს საქართველოდან აზერბაიჯანში ავტომობილების ექსპორტმა 47% შეადგინა, სომხეთში — 24%, ხოლო უკრაინაში — 12%. ეს იმ სამი ქვეყნის ჩამონათვალია, სადაც საქართველოდან ავტომობილების რეექსპორტი ყველაზე დიდი ოდენობით ხორციელდება. რაც შეეხება დანარჩენ ქვეყნებს, 2018 წელს ავტომობილების 5% ყირგიზეთში განხორციელდა, 2% — რუსეთში, ხოლო 7% - სხვა დანარჩენ ქვეყნებში. ჯამში, აღნიშნულ ქვეყნებში ექსპორტირებული ავტომობილების ღირებულებამ 2018 წელს 409 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. საინვესტიციო კომპანია Galt & Taggart-ის მონაცემებით, 2014 წელს აზერბაიჯანში, საქართველოს უმსხვილეს საექსპორტო ბაზარზე ახალი ევრო-4 რეგულაციები ამოქმედდა, რომლის თანახმად, ქვეყანაში მხოლოდ 2005 წლის შემდეგ წარმოებული ავტომობილების იმპორტი უნდა განხორციელდეს. დროთა განმავლობაში ამ მხრივ ბიზნესი ჩავარდნილი იყო, მაგრამ ბოლო 2 წელია გამოცოცხლების გზაზეა.



საქართველოდან ძვირადღირებული ავტომობილების ექსპორტით პირველ პოზიციას აზერბაიჯანი იკავებს, ექსპორტირებული ავტომობილების რაოდენობით კი — სომხეთი.

„2017 წელს რეექსპორტის თვალსაზრისით, უკრაინა საქართველოსთვის მესამე უმსხვილესი ბაზარი გახდა. აღნიშნული ტენდენცია 2016 წლის აგვისტოში უკრაინაში მიღებულმა კანონმა განაპირობა, რომლის თანახმადაც, 2010 წლის შემდეგ გამოსულ ავტომობილებზე აქციზის გადასახადი შემცირდა. შედეგად, 2018 წელს საქართველოდან უკრაინაში ექსპორტირებული ავტომობილების ღირებულებამ 49,9 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა (12%). კარგი სავაჭრო ინფრასტრუქტურისა და ცოდნის გათვალისწინებით, არ გამოვრიცხავთ, რომ ქართველი ავტოდილერები ახალ ბაზრებზე შევიდნენ, თუ შესაძლებლობები გამოჩნდება“, — ნათქვამია კვლევაში.

ავტოექსპორტის მიმართულებით დადებით ტენდენციას ადასტურებს ბიზნესიც. კომპანია „იამოტოს“ წარმომადგენელი პაატა მაისურაძე ამბობს, რომ რეექსპორტის ზრდა ნამდვილად შესამჩნევია. რადგანაც რუსეთში ევრაზიის საბაჟო კავშირის არაწევრი ქვეყნებისათვის მაღალი გადასახადია, ავტომობილები ჩრდილოელ მეზობელთან სომხეთის გავლით ხვდება.

„სომხეთში ძირითადად შედის იაპონური „ნისან ტიდები“ და „ტოიოტას“ მინივენები, ოღონდ აუცილებლად საჭეგადატანილი. რაც შეეხება უკრაინას და შუა აზიას, იქ ამერიკიდან იმპორტირებული კორეული ავტომობილები — „ჰიუნდაი“, „კია“, „ტოიოტა“ და ა.შ. მოსწონთ. მოკლედ, სხვადასხვა მოთხოვნაა.

რაც შეეხება შიგა ბაზარს, ბოლო დროს აქ მხოლოდ ჰიბრიდული ავტომობილებია მოთხოვნადი და რეალიზაციამაც იკლო“, — აცხადებს მაისურაძე.

ბექა დანელია

წარმატებული ქართველი ქალების იურიდიული კომპანია ნიუ-იორკში

„EK LAW OFFICE“ — ეს არის რამდენიმე დღის წინ, ნიუ-იორკში გახსნილი იურიდიული ფირმა. კომპანიის ოფისი მანჰეტენზე, ლექსინგტონ ავენიუზე მდებარეობს. ბიზნეს სამართალი, — ნიუ-იორკის შტატში კომპანიის დაფუძნება, რეგისტრაცია, კონტრაქტები, ინტელექტუალური საკუთრება და მათი დაცვა ამერიკაში; საემიგრაციო სამართალი, კერძოდ, ბიზნეს იმიგრაცია, სამუშაო უფლების მოპოვება და ინვესტორთა საემიგრაციო მომსახურება - ეს არის სერვისები, რომლებსაც კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს.

კომპანიის დამფუძნებელი, ჰარვარდის სამართლის სკოლის კურსდამთავრებული **ეკატერინე ეგუტია**. წლების განმავლობაში ის „თიბისი ბანკის“ მთავარი იურისტის პოზიციას იკავებდა.

ეკატერინე „ამერიკის ხმასთან“ ამბობს, თუ რა გახდა მოტივატორი, საქართველოში წარმატებული კარიერის შემდეგ, იურიდიული საქმიანობა ნიუ-იორკში გაეგრძელებია, — **„ნიუ-იორკის შტატის ახალი კანონმდებლობით, ნიუ-იორკში ლიცენზირებულ იურისტებს, მათ შორის საზღვარგარეთ მყოფ ნიუ-იორკელ ადვოკატებს ევალებათ, იქონიონ ფიზიკური ოფისი და მისამართი ნიუ-იორკში, რათა მათ შეძლონ კლიენტების იურიდიული მომსახურება. ლიცენზირებული იურისტებისთვის, ნიუ-იორკში იურიდიული პრაქტიკის წინაპირობად, ნიუ-იორკში იურისტის ყოფნა და ოფისის არსებობა განისაზღვრა. მე ნიუ-იორკის შტატის ადვოკატის ლიცენზია 2016 წლიდან მაქვს. ეს გარემოება იყო ერთ-ერთი მოტივატორი, ჩემს მიერ ნიუ-იორკში იურიდიული ფირმის დაფუძნების. მეორე მნიშვნელოვანი გარემოება იყოს ის, რომ პროფესიულად ძალიან მიზიდავს პრეცედენტული სამართლის იურისდიქციაში მოღვაწეობა. როგორც იცით, აქამდე იურისტად საქართველოში ვმუშაობდი. ჩვენი ქვეყანა კონტინენტური (გერმანული) სამართლის ქვეყანაა, რაც განსხვავდება ამერიკული და ინგლისური სამართლისგან. ჩემთვის, პრეცედენტული სამართლის სივრცეში საქმიანობა პროფესიულად ძალიან საინტერესოა“.**

იურიდიულ ფირმის სამიზნე ჯგუფები, ნიუ-იორკში მცხოვრები აღმოსავლეთ ევროპელები, პოსტსაბჭოთა ქვეყნების წარმომადგენლები და ქართველები არიან. მათ შორის ისინიც, ვინც ნიუ-იორკის შტატში ბიზნესის კეთებას გეგმავენ და არ იმყოფებიან აშშ-ში.

ეკატერინე ამბობს, რომ რისკები ყველა ახალ ბიზნესთან არის დაკავშირებული და ბუნებრივია, ეს ფაქტორი გააზრებული ჰქონდათ. იურიდიულ ფირმაში, ბიზნესის განვითარების მიმართულებას **ნინა კობახიძე** ხელმძღვანელობს. კობახიძე, ამერიკული სადაზღვევო კომპანია „გლობალ ჯგუფის“ ქართული წარმომადგენლობის დირექტორია. გარდა ამისა, ის წარმოადგენს საქართველოში „Willis Towers Watson“-ს და ორგანიზაცია „ქალები მომავლისთვის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა. მანამდე სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს მთავრობაში და შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში.

ქართლოს შარაშენიძე,
საბა გუჯაბიძე

იუსტიციის საბჭოს მოსამართლე წევრები ნაზი ჯანეზაშვილის წინააღმდეგ

იუსტიციის უმაღლეს საბჭოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრების დაწყებამდე განცხადებები გააკეთეს საბჭოს მოსამართლე წევრებმა. ისინი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრის ნაზი ჯანეზაშვილის განცხადებას გამოეხმაურნენ და მას უპასუხისმგებლო უწოდეს.

საუბარია ნაზი ჯანეზაშვილის შეფასებაზე, სადაც აცხადებს, რომ გასაუბრებაზე დასმული კითხვების მიხედვით ნათლად ჩანს, „ვისთან არიან შეთანხმებული საბჭოს წევრები წინასწარ და ვისთან არა“. ჯანეზაშვილის განცხადების შეფასებისას, საბჭოს მოსამართლე წევრმა ირაკლი შენგელიამ განაცხადა, რომ არამოსამართლე წევრები ცდილობენ, ჩრდილი მიაყენონ პროცესს.

„მინდა გამოვეხმაურო ქალბატონი ნაზიბროლას მიერ გაკეთებულ განცხადებას, სადაც ის ამბობს, რომ გასაუბრებაზე დასმული კითხვების მიხედვით ნათლად ჩანს, ვისთან არიან შეთანხმებული წინასწარ და ვისთან არა. ეს არის სრულიად უპასუხისმგებლო განცხადება. ფაქტობრივად ცდილობთ, ჩრდილი მიაყენოთ ამ პროცესს, იმდენად ხართ ამ სურვილით შეპყრობილი, რომ ყველაფერს კადრულობთ. რაღაც ზღვარი ხომ არსებობს, ეს როგორ უნდა იკადროთ, ვისთან ვართ შეთანხმებული? რა კითხვებს სვამთ? ჩვენ რომ კითხვებს ვსვამთ, იმის მეასედი სირთულის კითხვებს ვერ სვამთ თქვენ და არ სვამთ. მაგრამ დაკვეთა გაქვთ ასეთი, მითითებები გაქვთ მოცემული, რომ ასეთი რაღაცები უნდა იძახოთ“, — მიმართა ირაკლი შენგელიამ ნაზი ჯანეზაშვილს. ჯანეზაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა, საბჭოს წევრი რეზო ნადარაიაც. მისი თქმით, პროცესის დამკვირვებლები, საკუთარ დასკვნებს გააკეთებენ.

„პროცესის დაწყების დღიდან ნაზი ჯანეზაშვილი და ანა დოლიძე ცდილობენ, ამ პროცესის მაქსიმალურ დისკრედიტაციას. მადლობას ვუხდი ოდირი-ს წარმომადგენლებს, დამკვირვებლებს, რომ ამ პროცესით დაინტერესებულები არიან. დოლიძესა და ჯანეზაშვილზე ბევრად უკეთესი იურისტებიც გვესწრებიან და ისინი აკეთებენ დასკვნას. საზოგადოება გააკეთებს საბოლოო ჯამში დასკვნას“, — განაცხადა ნადარაიამ. ჭორაობა უწოდა ჯანეზაშვილის განცხადებას საბჭოს კიდევ ერთმა წევრმა ირაკლი ბონდარენკომ.

„ასეთი ჭორაობა და საზოგადიებასთან ასეთი ურთიერთობა მართლაც გვაჩვენებს იმას, რა პასუხისმგებლობით ეკიდებიან ეს ადამიანები ამ მნიშვნელოვან პროცესს. არ შეიძლება შენს ხალხს ასეთი ჭორაობის ენით ესაუბრებოდე. ცოტა მეტად მოუხმონ ჭკუას და ცოტა მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ ამ პროცესს“, — განმარტა ირაკლი ბონდარენკომ.

ეკა ბესელიას სკანდალური განცხადება

ეკა ბესელია სკანდალურ განცხადებას აკეთებს და ამბობს, რომ „ქართული ოცნების“ გუნდის წევრები მას პარტიიდან წასვლის წინ აფრთხილებდნენ.

ბესელია ამ ეტაპზე არ აკონკრეტებს ვინ გააფრთხილა, რომ „ოცნებიდან“ წასვლის შემთხვევაში, მასზე ზეწოლა და მორალური ტერორი მოხდებოდა. მისი თქმით, მთავარი კითხვაა, ვინ იყო მისი პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელების დამკვეთი.

„მასთანაც (ბიძინა ივანიშვილი) მქონდა ამ თემაზე საუბარი წამოსვლამდე. მე მჭირდებოდა მთავარ კითხვაზე პასუხი — ვინ ჩაიდინა ეს და იყო პირობა, რომ ეს იქნებოდა გამოძიებული, მან თქვა, რომ ეს არ იცოდა, მაგრამ უნდა გამოეძიებინათ. ამდენი ხანი გავიდა და ისევ პასუხგაუცემელია ეს კითხვები. პოლიტიკურ ომში, როცა შევედი სასამართლოს თემაზე, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი თემაა, ეს ფრაზაც მოვისმინე ვერ დაგიცავთო, გამეცინა, მე არაფერი მჭირდა დასაცავი, მე თვითონ ვიცავდი იმ გუნდს, რომელთან ერთადაც გამოვიარე შვიდი წელი. თუ ამას გულისხმობდნენ და ეს იყო ფორმა, რომელიც უნდა გამევლო, მე შინაგანად და მორალურად მზად ვიყავი, რადგან ასეთი რეპრესიები გავლილი მაქვს წინა წლებში“, — ამბობს ეკა ბესელია.

ბესელია ვარაუდობს, რომ გამოძიება სწორედ იმიტომ არ იძვრის, რომ მისი ფარული კადრების გავრცელება „შორს არ არის მმართველი პარტიისგან“.

„ეს იყო ის ჯგუფი, რომელიც სასამართლოს გავლენიან ჯგუფად მოიხსენიება, მასთან დაკავშირებული პირები, ლობისტები, რომლებიც ლობირებდნენ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების არჩევას და მათ შორის პარტიულ შემადგენლობაშიც. ასე რომ, მგონია, ეს პროცესი არ არის შორს მმართველი პარტიისგან, ისე როგორც ვერ გამოვრიცხე ის ძალა, რომლის დროსაც მოხდა ამ უკანონო ჩანაწერის განხორციელება“, — ამბობს ბესელია.

ქართულ-გერმანული ფესტივალი „სუფრა“

გერმანიაში ქართულ-გერმანული ფესტივალი „სუფრა“ მიმდინარეობს. „სუფრა“ ცხრადღიანი ფესტივალია, რომლის მიზანია ქართულ-გერმანული ხელოვნებისა და კულტურის ურთიერთკავშირის ხელშეწყობა.

ფესტივალის ფარგლებში გაიმართება არაერთი ღონისძიება, მათ შორის რეჟისორ ნანა ექვთიმიშვილის ფილმის „გრძელი ნათელი დღეების“ ჩვენება და შეხვედრა მასთან, ქართული ფოლკლორული სიმღერები „ქალაუს“ შესრულებით, ახალგაზრდა სტრიტ არტისტი მიშიკო სულაკაური კი, ჰამბურგში თუშური კედლის ინსტალაციას შექმნის. სტუმრებს შეესაძლებლობა ექნებათ, კულინარიულ „ვორქშოპში“ მიიღონ მონაწილეობა და გაეცნონ ქართულ სამზარეულოს.

ფესტივალი დასრულდება 28 ივლისს, სადაც ყველა მონაწილე გაერთიანდება პერფორმანს „სუფრის“ გარშემო, რომელზეც გერმანულად წაიკითხავენ თანამედროვე ქართველი პოეტის გიორგი გამსახურდიას ლექსებს.

ფესტივალის ორგანიზატორები და თანაკურატორები არიან თეონა გოგიჩაიშვილი და ოლაფ შელერი. ორგანიზატორების განცხადებით, 2018 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს როგორც მასპინძელი ქვეყნის წარმომჩენამ ქართულ-გერმანული კულტურული კავშირი საგრძნობლად გააღრმავა და ინტერესი მნიშვნელოვნად გაზარდა.

ენერგიის რა ალტერნატიული წყაროები არსებობს მსოფლიოში?

ევროპასა და ამერიკაში უკვე დიდი ხანია, აქტიურად მუშაობენ ენერგიის ახალი წყაროების გამოგონებაზე. გთავაზობთ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რას მიაღწიეს ამ მიმართულებით მსოფლიოში.

ბიოსანვავი ნავთობის ნაცვლად

შვედეთში ოცნებობენ იმაზე, რომ ოდესმე ნავთობი და ბენზინი საჭირო აღარ იქნება: 2015 წლის ოქტომბერში ლულეოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე შექმნეს ახალი საწვავის პირველი პარტია ხის ნაფოტებისგან. პროცესი ორ ეტაპად გაგრძელდა: პირველი - ნაფოტების თერმული დაშლა (პიროლიზი) და მიღებული პროდუქტის მკვეთრი გაყინვა. შედეგად ყალიბდება ბიოსაწვავი, რომელიც გაზიფიკაციის და სპეციალური შავი მკვრივი მასის (ცელულოზურ-ქაღალდის წარმოების გვერდითი პროდუქტი) დამატების შემთხვევაში შესაძლებელია სრულყოფილ სატრანსპორტო საწვავად გარდაქმნა.

გამომგონებლები ამტკიცებენ, რომ ბიოსაწვავით დატენილი ერთი ბენზინმზიდის საწვავი ავტომობილს დედამიწის გარშემო 10-ჯერ შემოატარებს.

მარილიანი წყლის ენერგია

2009 წლის ნოემბერში ნორვეგიულ კომუნა ჰურუმში ამუშავდა მსოფლიოში პირველი ოსმოტიკური ელექტროსადგური — მოწყობილობა, რომელიც ენერგიას მტკნარი და მარილიანი წყლის ნაზავისგან იღებს. კერძოდ, რეზერვუარს, რომელიც ნახევრადგამტარი მემბრანით ორ ნაკვეთურადაა გაყოფილი, ზღვის და მტკნარი წყალი მიეწოდება; მტკნარი წყლის მოლეკულები რეზერვუარში მემბრანის გავლით აღწევს, რომ მარილის კონცენტრაცია გაათანაბროს, და ზღვის წყლის ნაკვეთურში იქმნება ზედმეტი წნევა; ამ წნევას იყენებენ ჰიდროტურბინის ბრუნვისათვის, რის შედეგადაც ელექტროენერგია მუშავდება.

თუმცა, სადგურის ეფექტიანობა დაგეგმილზე ნაკლები აღმოჩნდა. ცოტა ენერგია იწარმოებოდა და კომპანია Statkraft-მა ვერაფრით ამოიღო მშნებლობაზე დახარჯული 20 მილიონი ევრო. 4 წლის შემდეგ პროექტი გააჩერეს. მოგვიანებით Statkraft-ი შეეცადა იმის გარკვევას, თუ როგორ შეიძლებოდა ოსმოტიკური ელექტროსადგურების მწარმოებლურობის გაზრდა.

2015 წლის სექტემბერში პასუხი შემთხვევით ავსტრალიის გრიფიტის უნივერსიტეტში იპოვეს. იქ ჩატარებული კვლევის თანახმად, ოსმოტიკური ელექტროსადგურები გამამტკნარებელი მოწყობილობების ბაზაზე უნდა აეშენებინათ, რათა წნევა ჩვეულებრივი ზღვის წყლის და გამტკნარების შემდეგ მიღებული ხსნარის შეზავებისას წარმოქმნილიყო. ავსტრალიელი მეცნიერები ვარაუდობდნენ, რომ ასეთ შემთხვევაში ენერგია მეტი იქნებოდა, ხოლო ოსმოტიკური სადგურების დამოკიდებულება ენერგიის არგანახლებად წყაროებზე შემცირდებოდა.

მძლავრი მზის ბატარეები

რამდენიმე წლის წინათ, ილინოისის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ჩვეულებრივი მზის ბატარეების სიმძლავრის გაზრდის მეთოდი გამოიგონეს. ეს მეთოდი მზის სინათლის არა უმალ შთანთქმას, არამედ შუა ზონის შექმნას გულისხმობდა, რაც სინათლის ტალღების ინტესივობას გაზრდიდა. ამისთვის ბატარეის წინ დაამონტაჟეს სპეციალური თეფში სინათლის მძლავრი გამომსხივებლებით (უმინოფორებით), რომლებიც მზის სინათლის დაჭერისას, გამეორებით უშვებენ მას უფრო გრძელ ტალღებად. მკვლევრები ამბობენ, რომ ეს 30-ჯერ ზრდის დაჭერილი ფოტონების რაოდენობას, შესაბამისად, მზის ბატარეების ეფექტიანობაც არსებითად გაიზრდება.

თერმობირთვული სინთეზი

ყველა ამ გამოგონების მიუხედავად, უახლოეს წლებში ენერგეტიკის მთავარი იმედი თერმობირთვულ სინთეზს უკავშირდება. ამ სფეროში კვლევების ცენტრად გერმანულ ქალაქ გრეიფსვალდში რეაქტორი Wendelstein 7-X იქცა. პროექტის ღირებულება დაახლოებით 400 მილიონი ევრო.

2015 წლის დეკემბრის დასაწყისში პირველმა ცდებმა წარმატებით ჩაიარა. ფიზიკოსებმა შეძლეს აირისმსგავსი ჰელიუმის მილიონ გრადუსამდე ცელსიუსით გაცხელება და მიღებული პლაზმის 0,1 წამის განმავლობაში წონასწორობაში შენარჩუნება. მეცნიერების საბოლოო მიზანი ბევრად ამბიციურია: რეაქტორში წყალბადის პლაზმის 30 წუთის განმავლობაში შენარჩუნება.

საბოლოო ჯამში, სტელარატორები ჩვეულებრივ ელექტროსადგურებად გადაიქცევა, რომლებიც ქალაქების სრულყოფილ ცხოვრებას უზრუნველყოფს.

ქარის ენერგია

2016 წელს შოტლანდიის სანაპიროებზე მსოფლიოში უმსხვილესი მცურავი ქარის ელექტროსადგურის მშენებლობა დაიწყეს. ეს არის ქსელი, რომელიც ხუთი ტურბინისგან შედგება მთლიანი მოცულობით 30 მეგავატი, რაც 20 ათასი სახლის მომარაგებაზეა გათვლილი. დღეს ამ ელექტროსადგურით ქალაქ პიტერჰედს ამარაგებენ.

მისი ენერგია გამომუშავდება ძლიერი ქარებისგან, რომელთა სიჩქარე შოტლანდიის სანაპიროდან 25 კილომეტრის მანძილზე ჩვეულებრივ 1 წამში 10 მეტრს შეადგენს. იმავდროულად, აუცილებლობის შემთხვევაში ტურბინების გადაწევა უფრო შორსაც შეიძლება, რადგან მათი ძირი ზღვის ფსკერზე მაგრდება, და სპეციალურ პლატფორმებზეა განთავსებული. შოტლანდიის მთავრობას მიაჩნდა, რომ ასეთი სისტემა ელექტროენერგიის წარმოებაზე ხარჯებს შეამცირებდა.

2017 წლის ოქტომბერში მცურავი ელექტროსადგური ამოქმედდა. სამთვიანი შტორმების დროს, 2018 წლის ნოემბრიდან 2019 წლის იანვრამდე, Hywind Scotland-ის ტურბინებმა გაუძლო ექსტრემალურ 8-მეტრიან ტალღებს ჩრდილოეთ ატლანტიკაში ქარიშხლის დროს.

2019 წლის ივნისში დანიურმა კომპანიამ Danske Commodities განაცხადა, რომ მზადაა Hywind-ის მთელი სიმძლავრე 20 წლის განმავლობაში შეისყიდოს, რაც ამ ტიპის პირველი შეთანხმებაა.

გეოთერმული ენერგეტიკა

ისლანდია იდეალური მაგალითია ქვეყნისა, რომელმაც უარი თქვა ნავთობსა და ენერგიის სხვა არააღდგენად წყაროებზე: ჰიდროელექტროსადგურები საჭიროებების დაახლოებით 70%-ს ფარავს, კიდევ 25%-ს — გეოთერმული მოწყობილობები. დარგი იმდენად განვითარებულია, რომ ისლანდია მზადაა, თავისი გამოგონებები უცხოეთში გაყიდოს. მაგალითად, დიდი ბრიტანეთი ისლანდიასთან მოლაპარაკებებს მართავს გეოთერმული ენერგიის შეძენაზე, რომელიც ცხელი წყლისა და ორთქლის დახმარებით მუშავდება.

ისლანდიაში 100-ზე მეტი ვულკანია, რომლის წყალობითაც შედარებით მცირე სიღრმეზეც წყლის ტემპერატურა ენერგიის გამომუშავებისთვის საკმარისია. მაგალითად, ისლანდიაში სახლების დაახლოებით 90% თბება ცხელი წყლის საშუალებით, რომელიც ჭაბურღილებიდან მილებს მიეწოდება და საცხოვრებელ ნაგებობებს ათბობს.

ელექტროენერგია, როგორც წესი, უფრო რთული გზებით მიიღება. ყველაზე გავრცელებული სამი გზაა: პირდაპირი — როდესაც ჭაბურღილიდან ამომავალი ორთქლი ტურბინაში გადის, რომელიც ენერგიას გამოიმუშავებს; არაპირდაპირი — როდესაც ცხელი წყალი მაღალი წნევით მიწიდან ამაორთქლებელს მიეწოდება, ხოლო მიღებული ორთქლი ტურბინას ატრიალებს; ბინარული — როდესაც ცხელი თერმული წყალი ურთიერთქმედებს თბოშემცველელში სხვა სითხესთან (დუღილის უფრო დაბალი ტემპერატურით) და მისგან ორთქლს ქმნის, შედეგად ეს ორთქლი ტურბინას ატრიალებს.

მზის ენერგია კოსმოსიდან

შესაძლოა, ენერგიის მოპოვების მისთვის ყველაზე უჩვეულო მეთოდი — კოსმოსში გამგზავრებაა. ამით დაკავდა კალიფორნიული კომპანია Solaren-ი, რომელმაც 2009 წელს დაიწყო მზადება რამდენიმე მზისპანელიანი თანამგზავრის გასაშვებად.

პროექტი 2016 წელს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ დაფინანსების პრობლემების გამო ათწლეულის ბოლოსკენ გადაიდო.

საინტერესოა, რომ კოსმოსიდან ენერგიის მიღებაზე Solaren-ის გამოჩენამდე ბევრად ადრეც ფიქრობდნენ: აიზეკ აზიმოვის 1941 წელს დაწერილ მოთხრობაში Reason, პირველადაა ნახსენები კოსმოსური სადგური, რომელიც დედამიწას ენერგიით ამარაგებს და რომელსაც რობოტები მართავნ.

სინამდვილეში ყველაფერი ასე უნდა გამოიყურებოდეს: სინათლის რეფლექტორებიდან მუდმივი დენი დედამიწას ელექტრომაგნიტური ტალღების საშუალებით გადაეცემა, დედამიწაზე კი მათ სპეციალური ანტენა იღებს, რის შემდეგაც ენერგია ასობით საცხოვრებელ სახლში გადაიცემა.

მჟავა, რომელსაც ბენზინის ჩანაცვლება შეუძლია

რამდენიმე წლის წინათ ლონდონის „არსენალის“ ფეხბურთელმა მატიე ფლამინიმ აღიარა, რომ თითქმის მთელ თავის გამომუშავებულ ფულს აბანდებს კომპანიაში, რომელიც ბიოსაწვავს ლევულინის მჟავის საფუძველზე ამუშავებს. ნახევარმცველის თქმით, მომავალში ეს ნივთიერება ბენზინს შეცვლის და 20 მილიარდი ფუნტის მოცულობის ბაზარს გახსნის.

ამ დროისთვის ფლამინას მეგობარ პასკუალე გრანატესთან ერთად შვიდი წლის მუშაობის გამოცდილება ჰქონდა. ისინი კომპანია GF Biochemicals-ის და იტალიურ ქალაქ კაზერტეში ქარხანას ფლობდნენ. ამ ქარხანაში დაახლოებით 80 ადამიანი მუშაობდა (მთლიანობაში კომპანიაში — 400 თანამშრომელია).

„როდესაც ჩვენ ვიპოვეთ მჟავის ინდუსტრიულ მასშტაბებში წარმოების მეთოდი, ჩვენ ის დავაპატენტეთ. ამას მოჰყვა თანამიმდევრული განვითარება. ჩვენ გვყავს მკვლევრები, ქიმიკოსები და სხვა მეცნიერები საფრანგეთიდან, იტალიიდან, ჰოლანდიიდან, გერმანიიდან, რუსეთიდან და ეგვიპტიდან“, — თქვა ფლამინიმ.

IMEDINEWS

საქართველოში ელექტროენერგიის იმპორტი წელს ივლისშიც ხორციელდება

ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის (ესკო) მონაცემებით, პირველი ივლისიდან 18 ივლისამდე იმპორტმა უკვე 40 მილიონი კილოვატ/საათს გადააჭარბა. ელექტროენერგიის მოწოდება აზერბაიჯანიდან ხორციელდება.

შარშან ელექტროენერგიის იმპორტმა ივლისში მხოლოდ 1.16 მილიონი კილოვატ/საათი შეადგინა.

ივლისის თვეში საქართველო ტრადიციულად ელექტროენერგიის ექსპორტს ახორციელებს. წელს კი ივლისში ექსპორტი თითქმის ნულოვანია. არსებული ინფორმაციით, იმპორტი აუცილებელი გახდა ჰესების შედარებით დაბალი გამომუშავების, ასევე ზაფხულის პერიოდში ელექტროენერგიაზე გაზრდილი მოხმარების გამო.

ესკო-ს მონაცემებითვე, იანვარ-ივნისში საქართველოში ელექტროენერგიის იმპორტმა 622 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა, რაც წინა წლის ექვსი თვის მაჩვენებელს 5.6 პროცენტით აღემატება.



რატომ უნდა დავფიქრდეთ, სანამ ვიფიქრებდეთ?..

728
მხოლოდ ოქროს გალიების ბინადართ აქვთ განთავისუფლების იმედი.

729
მგელთან ერთად თუ ერთ ორმოში მოხვდი, ზემოდან ნუ დაუწყებ ცქერას.

730
მთელი დღე ვერ მოვიგონე სიტყვა „გილიოტინა“, თავი თავს იცავდა.

731
წინა ხაზზე ერთმანეთთან ყველაზე ახლოს მტრები არიან.

732
წყალი პირამდე თუ მოგადგა, ნუ განიცდი, სასმელად რომ არ ვარგა.

733
ეს ქვეყანა რა მშვენიერია-მეთქი, ამის აღიარებას ჩემგან უწინარესად ისინი მოელიან, ვინც სიცოცხლეს მაიძულებს.

734
„ერთი ქალი რას მიზამს, – თქვა საჭურისმა, – მე ჰარამხანა მჭირდება“.

735
წესად დავთქვათ: „დაე, სასაფლაოებზე ცოცხლებმაც დაიცვან სიწყნარე, თუკი ამას მკვდრებიც ახერხებენ“.

736
მოგონებების მოგონება მუდამ გულს გვიჩუყებს.

737
არწივმა გუგულის კვერცხიდანაც კი უნდა შეიძლოს გამოჩეკა.

738
ვინ გვაწვდის ჩვენი ბედ-იღბლის ქაღალდს? უშველებელი თეთრი ვირთხა თუ კიდევ უფრო ვეებერთელა თუთიყუში? ან არღანს ვინ ატრიალებს? ჩვენ ხომ მარტო მელოდია ვიცით.

739
ხალხი სასაცილოს სერიოზულად არ იღებს. აბა, წარმოიდგინეთ, მავანი და მავანი კლოუნის თოფ-დამბაჩით გააგორონ, იმან კი სიკვდილი არ ისურვოს და თავი მოკლულად არ აღიაროს.

740
ადამიანებს ხან „ცხოვრებისგან თავისუფალი დღე“ გამოადგებოდათ.

741
გოლომდე! იქ ყველანი ჩამოვალთ.

742
ხორცისმჭამელნო, სუყველა ბოცვერს ნუ შეჭამთ, თორემ, საცდელი ბოცვრები რომ გამოილევა... თავადაც მოგეხსენებათ, რაც მოხდება მაშინ!

743
უკბილოებს ბევრი რამის გამოთქმა ეადვილებათ.

744
გულის ტკივილით იტანჯებოდე და ლირიკოსი არ იყვე, რა აზრი აქვს?

745
ვინც ჯოჯოხეთისკენ მიმავალი გზიდან გადაუხვია, იმას ვერ შეაჩერებს გაფრთხილება: „ეს გზა არსად მიგვიყვანს“.

746
ენას ეფარებოდა, რომელ ენასაც მთელ ქვეყანას უყოფდა.

747
ყველაზე ოპტიმისტურად კი ბენ აკიბას უთქვამს: „ყოველივე უკვე იყოო“.

748
მესაფლავისთვისაც კი არ შეიძლება მარტო წარსულით გატაცება.

749
რატომ ვცვივით მთვარიდან სულ ერთსა და იმავე მიწაზე?

750
ადამიანმა რომ იცოდეს, რა დიდია, ზრდა აღარ დასჭირდებოდა.

751
ბოსტნის ყველა საფრთხობელაში დაშინების დემონი თვლემს.

752
სიზმრები მძინარის მდგომარეობაზეა დამოკიდებული.

753
ყველამ როდი იცის, რომ ძალიან ბევრი იცის.

754
ბევრი დანაშაულის კვალს მომავალში მივყევართ.

755
ძნელია საკუთარი უწიგნურობის ბოლომდე ჩაკითხვა.

756
ნუ ესვრით მანეკენებს, ისინი მეხსიერებაში ადამიანებად აღდგებიან.

757
ერთხელ ღამით ხე-ტყის საწყობს ჩავუარე და მოდარაჯე ძაღლმა ყეფა ამიტეხა. მჯერა – კაცობრიობა ისე სრულყოფილებას მიაღწევს, რომ ძაღლს ზუსტად ეცოდინება იმ ხეტყის ღირებულება, რის გულისთვისაც იყეფება.

758
პირდაპირობა მიზნისკენ მიმავალ გზას არ ამოკლებს.

759
დანოლის ზემოქმედება მასალაზეა დამოკიდებული, ზოგი რამ მრუდდება, ზოგიც სწორდება.

760
არარაობას არასოდეს არა სჭირს მიკრომანია.

761
ის მზად არის, გაბრტყელდეს, ოღონდ მთამ შეამჩნიოს.

762
მხოლოდ ტაკიმასხარას არ შეუძლია დაუსჯელად კანკალი, მას ზანზალაკების ჟღარუნი გასცემს.

763
ნამდვილ ვაჟკაცს მაშინაც კი იცნობ, როცა ტიტველია.

764
ისტორიაში მოუხდენელი ფაქტებიც გათვალისწინებულია.

765
ერთგული მედროშე იყო, როცა ტარი ეჭირა, ყურადღებას არაფერს აქცევდა, თვით დროშის ფერთა ცვლასაც კი.

766
გულადი ტირანს ხელიდან აცლის ლუკმას.

767
დიად დროს კარგა ბლომად შეუძლია პატარა ადამიანების დატევა.

768
ვისი ხარჯით ცხოვრობენ ადამიანები სხვათა მოგონებებში?

769
როდის იბადება პესიმიზმი? ორი სხვადასხვა ოპტიმიზმის შეჯახების ჟამს.

770
ჯუჯებს ტანის ასაყრელად სხვისი ძვლები სჭირდებათ.

771
ინტელექტუალური პერიფერია ტვინისგან დაშორებით აზროვნების აქტივიზაციაა.

772
სამწუხაროა, როცა ადამიანები თავიანთ თავს ერთსა და იმავეს უსტვენენ.

773
ხან ტანადობა დამბლის შედეგია.

774
რასაკვირველია, რომ ლაქიები და მხევლები ვერასოდეს ვერ ხედავენ მეფეებს ტიტვლებს.

775
ვინც დუმს, იმას სიტყვას ვერ ჩამოართმევ.

776
ეს ქვეყანა ალბათ კონუსის ფორმისაა, ყველაზე დიდი ძირი აქვს.

777
რაც უფრო დაბალზე ეცემი, მით უფრო ნაკლებად გტკივა.

778
პური ყოველნაირ პირს აღებს.

(გაგრძელება იქნება)



დაუვარცხნელი აზრები

ყველაფერი ადამიანის ხელშია, ამიტომ ხშირად უნდა ვიბანდეთ ხელებს



ასე ამბობდა სტანისლავ ეჟი ლეცი

ქართულად გადმოაქენა გურამ გოგიაშვილმა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №119-122, 124-125, 127, 129-131, 135, 139, 142-147

ღმერთო, გონება გაუნათე შინაურ მტერს!

დასავლეთის „საამებლად“ რუსეთის აგრერიგად გალიზიანება ჩვენი საცოდავი ქვეყნის ტრაგედიაა!

რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის განცხადების პირველმა ნაწილმა, რომელიც საქართველოსთვის სანქციების დაწესებას ეხებოდა — შვება მოჰგვარა საზოგადოებას, განსაკუთრებით ბიზნესს. მეორე ნაწილმა — საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებით, გულისწყრომა და გაღიზიანება გამოიწვია.

ქართველი მეცნიერები, ინტელიგენციის წარმომადგენლები ერთმანეთს ეჯიბრებიან ქვეყნის ისტორიის სიღრმისეულ ცოდნასა და რუსეთის პრეზიდენტისთვის იმის მტკიცებაში, რომ საქართველოს ისტორია არ იცის ან შეგნებულად ცდილობს მის დამახინჯებას. ითქვა იმის თაობაზეც, რომ პუტინს არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს და მანაც გადაუმოწმებლად გაიმეორა.

პუტინი ისტორიკოსი არ არის, იურისტია და არც საქართველოს ისტორიის ზედმიწევნით ცოდნა ევალება, რამეთუ გაეროში გაწევრებულ 190-ზე მეტ ქვეყანასთან ურთიერთობისას ყველა მათგანის ისტორიის ცოდნა შეუძლებელია. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მან უკეთ იცის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ისტორია, ვიდრე სხვების.

საჯარო გამოსვლაში ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიის შეხებისას, ბუნებრივია, პუტინი იღებს კონსულტაციას სპეციალისტებისგან — განმტკიცებულს ისტორიული დოკუმენტებით. ამჯერადაც ასეთ პროცედურასთან გვაქვს საქმე. პუტინმა თქვა ის, რაც მას ექსპერტ-ისტორიკოსებმა უთხრეს. თქვა არა სპონტანურად, არამედ დაფიქრებით, წინასწარ ჩამოყალიბებული აზრით, თანმიმდევრობით.

მისი ნათქვამი უმალ აიტაცა რუსეთის ყველა ტელეარხმა. მათ გააანალიზეს საქართველოს ისტორია, თან დაურთეს ისტორიული ვიდეო და ბეჭდვითი მასალა. მაგალითად, მენშევიკური მთავრობის წევრის გ.ლორთქიფანიძის სიტყვიდან ამონარიდი, ზ.გამსახურდიას განცხადება, სხვა მასალები, რასაც რუსი ისტორიკოსები და ექსპერტები უკეთებდნენ კომენტარს. რუსეთის პრეზიდენტის ნათქვამი „გაამაგრა“ ტელე-რადიოკომპანიებმა, ბეჭდვითმა მედიამ.

განაწყენებულმა ქართულმა მხარემ უპასუხა, მაგრამ... საბოლოოდ ვინ დარჩა მოგებული?

რა თქმა უნდა, რუსული მხარე, რომლის მასმედია და გავრცელების არეალი აშკარად აღემატება ჩვენსას. მოსკოვში ნათქვამი მთელ მსოფლიოში გავრცელდა. აქ ნათქვამი თითო-ოროლამ თუ წაიკითხა. მოსკოვმა ამჯერადაც მიზანს მიაღწია.

სამწუხაროდ და საუბედუროდ, ჩვენი ნათქვამი სამზარეულოში გულის ფხანას ჰგავს და არა რუსი პოლიტიკოსების, მეცნიერების ჩვენს ისტორიულ სიმართლეში დარწმუნებას.

გაზეთები, რომლებშიც პასუხები დაიბეჭდა, ქართულენოვანია, ისევე, როგორც ტელევიზიები — შიდა მოხმარებისთვის განკუთვნილი... ის მოსკოვის ყურამდე ვერც აღწევს.

უმჯობესი იქნება აღნიშნული მასალების რუსულად თარგმნა და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისთვის, რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის გაგზავნა. გარდა ამისა, თხოვნა რუსეთის აკადემიისადმი — რუს ისტორიკოსებთან ქართველი კოლეგების შეხვედრის თაობაზე.

შეხვედრას ერთჯერადი ხასიათი არ უნდა ჰქონდეს და მასში ჩართული უნდა იყვნენ აფხაზი და ოსი მეცნიერებიც. შეხვედრა არა მარტო ისტორიულ თემატიკაში შეიტანს სინათლეს, არამედ ხელს შეუწყობს რუსეთთან და ყოფილ ავტონომიებთან ჩატეხილი სამეცნიერო ხიდების აღდგენას, შეძლებისდაგვარად წერტილს დაუსვამს საქართველოსთან დაკავშირებით მედიაში გამოქვეყნებული სიცრუის ტირაჟირებას.

კარგი იქნებოდა ანალოგიური პრაქტიკის შემოღება სომხეთთან, აზერბაიჯანთან და თურქეთთან.

როგორც ჩანს, რუსი ისტორიკოსები, რომლებიც კონსულტაციას უწევენ რუსეთის პრეზიდენტს, დარწმუნებული არიან თავიანთ სიმართლეში, რომელიც (მათი აზრით) განმტკიცებულია ისტორიული დოკუმენტებით.

რუსეთს ძალიან სწყინს, როდესაც მას ოკუპანტად მოიხსენიებენ, ვინაიდან, მათი აზრით, არავითარ ოკუპაციას ადგილი არ ჰქონია. მათთვის მიუღებელია დასავლურ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია, თუნდაც ისეთი, „Sveriges Radio”-მ რომ გააჟღერა ქრისტინე ტალახაძის ნოუჰაუსთან დაკავშირებით.

ვინმე ტალახაძემ საკუთარი რესტორნის შესასვლელი ასეთი წარწერით „დაამშვენა“ — „იცით თუ არა, რომ რუსეთი ოკუპანტია? თუ არ იცით, ჩვენ აგიხსნით. რუსებისთვის ფასებს 20%-ით ვზრდით, ვინაიდან მათ მიერ ოკუპირებული აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ტერიტორია საქართველოს დაახლოებით 20%-ს შეადგენს“.

„20% და „რუსეთი ოკუპანტია“, მსგავსი წარწერები არა მარტო ტალახაძის რესტორანზეა, არამედ ავტომანქანებზე, საცხოვრებელ თუ სხვა დანიშნულების შენობათა კედლებზე, რუს ტურისტებთან, ჟურნალისტებთან, კაფე-ბარების მეპატრონეთა საუბარში, რომლებიც შინ დაბრუნებისთანავე რუს და უცხოელ მკითხველს სთავაზობენ სტატიებს „უმადური“ საქართველოს შესახებ: **„არც ერთი ხალხი გაქრობისგან ისე დიდსულოვნად არ გადაურჩენია რუსებს, როგორც ქართველები“**.

მოჰყავთ პროფესორ ნოდარ ლომოურის „საქართველოს ისტორიიდან“ ამონარიდი: „შაჰ აბას I-ის ლაშქრობა კახეთში. 100 ათასი დახოცილი, 200 ათასი სპარსეთს გარეკილი, გაწმენდილ ტერიტორიებზე თურქმანული ტომების ჩასახლება“.

„რუსეთის ქართლში შესვლისას, ადგილობრივთა რაოდენობა 60000 იყო. მომდევნო 100 წლის განმავლობაში რუსული „მეგობრული ხიშტების“ წყალობით მოსახლეობა მილიონნახევრით გაიზარდა. საბჭოთა 70 წლის პერიოდში — 5 მილიონამდე“.

„პრეზიდენტ გამსახურდიადან დაწყებული, კამათობენ, ნებაყოფლობით, ნახევრად ნებაყოფლობით თუ არასაკუთარი სურვილით შევიდა საქართველო რუსეთის შემადგენლობაში, მაგრამ არავინ სვამს კითხვას, როგორ საქართველოზეა საუბარი“, — წერს ი.შუმეიკო და იქვე პასუხობს:

„1490 წელს დარბაზმა დააფიქსირა საქართველოს სამ სამეფოდ — ქართლად, კახეთად და იმერეთად დაყოფა. მოგვიანებით იმერეთს გამოეყო სამეგრელო და გურია. 1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატი დაიდო რუსეთსა და ქართლ-კახეთს შორის. ქართლში რჩებოდნენ საკუთარი მეფეები, მაგრამ დიდი ფიქრისა და განსჯის შემდეგ პავლე I-მა შეასრულა დასნეულებული გიორგი XII-ს თხოვნა და 1800 წლის 22 დეკემბრის მანიფესტით ქართლ-კახეთი რუსეთს შეუერთა.

მართლმადიდებელი ქართველობა გადარჩა, რუსეთმა კი მიიღო ომები თურქეთთან, სპარსეთთან. ერთ-ერთი (თურქეთთან) კუტუზოვმა ნაპოლეონის რუსეთში შემოჭრამდე ერთი კვირით ადრე დაამთავრა. 1812 წლის პირველ ნოემბერს, ორდღიან ომში, რუსეთმა დაამარცხა სპარსთა 30-ათასიანი არმია აბას-მირზას მეთაურობით, რითაც გადაარჩინა საქართველო“.

სიტყვა „ოკუპაცია“ რუსეთში რომ სერიოზულ გაღიზიანებას იწვევს, ფაქტია. აქედან გამომდინარე არის ის განცხადებები, რასაც ზოგიერთი ანალიტიკოსი აკეთებს: „ისინი, ვინც **„რუსეთი მტერია და ოკუპანტია“** ლოზუნგებით ჟონგლიორობენ, ივიწყებენ, რომ ამ ცნებებს პირდაპირი მნიშვნელობაც აქვთ. რუსეთის მიმართ მტრული პოლიტიკა და მტრად შერაცხვა აძლევს მას შესაბამისი პოლიტიკის გატარების უფლებას. თუ ქართველი პოლიტიკოსები და ხელისუფლება მტრულ პოლიტიკას ირჩევენ, მათ უნდა იცოდნენ, რომ ადრე თუ გვიან მიიღებენ შესატყვის პასუხს, სადაც არც ოკუპაცია იქნება გამორიცხული, მაგალითად, რუსეთის სამხედრო ადმინისტრაცია საქართველოში.

ოკუპაცია ნიშნავს ოკუპაციას. ამ სიტყვის მნიშვნელობიდან გამომდინარე, კომენდანტის საათის შემოღებასაც — ეკონომიკური და ადმინისტრაციული კონტროლით. ვინაიდან სომხეთი რუსეთის სამხედრო მოკავშირეა, შეიძლება, მისი არმიის ჩართვის შესაძლებლობის განხილვაც, ერთობლივი საოკუპაციო ფუნქციების შესრულებისთვის ან მისთვის პასუხისმგებლობის ზონის გამოყოფა. მთავარი ამოცანა — საქართველოს არმიის დათხოვნა, ქვეყნის დემილიტარიზაცია, მშვიდობისმოყვარე არააგრესიული მთავრობის შექმნა“, — წერს დიმიტრი ვერხოტუროვი.

სამწუხაროდ, რუსეთში ვერხოტუროვის მსგავსნი არ არიან მხოლობით რიცხვში, თუმცაღა, საბედნიეროდ, კეთილმოსურნეთა რაოდენობა ჭარბობს. ქვეყნის აწმყო და მომავლის მიმართ ჩვენი ვალი მოითხოვს ამ უკანასკნელთა რიგების გაზრდას — საქმიანი კავშირების დამყარებით. ჩვენ კი რას ვაკეთებთ? — ჯერჯერობით საწინააღმდეგოს!

დავუბრუნდეთ პუტინის ნათქვამს.

ჩვენთვის უცნობია სტალინისა და ბერიას გადაწყვეტილება აფხაზეთის მოსახლეობით „გამდიდრების“ თაობაზე? ან ის, რომ აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა 1931 წლამდე სამოკავშირეო ხელშეკრულებით იყო დაკავშირებული საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკასთან? ან ის, რომ 1926 წელს აფხაზეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა საბჭომ „მოიწონა“ აფხაზეთის სსრ კონსტიტუციის გადამუშავებული ტექსტი, სადაც სიტყვა „სუვერენული“ შეიცვალა „სოციალისტურით“? ანუ „აფხაზეთი არის სოციალისტური სახელმწიფო, ნაცვლად სუვერენულისა! ან ის, რომ 1930 წელს აფხაზეთის აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესიამ დაადგინა, რომ აფხაზეთის კონსტიტუციიდან ამოღებული ყოფილიყო სიტყვები „სახელშეკრულებო რესპუბლიკა“ და მათ ნაცვლად ჩაწერილიყო „ავტონომიური რესპუბლიკა“?

ამასთან დაკავშირებით ნესტორ ლაკობამ — აფხაზთა ლიდერმა, ყრილობაზე განაცხადა: „საქართველოს და აფხაზეთის მშრომელების ურთიერთობების საკითხი სრულად გადაწყდა“. აფხაზეთის აღმასრულებელი კომიტეტის III სესიამ და აფხაზეთის საბჭოს VI ყრილობამ გადაწყვიტა აფხაზეთის სახელშეკრულებო რესპუბლიკის ნაცვლად, საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკის სახით შესვლა. 1931 წლის თებერვალში ეს გადაწყვეტილება მოიწონა საქართველოს საბჭოების VI ყრილობამ.

აფხაზთა აზრით მიღებული გადაწყვეტილებები იყო ზეწოლის შედეგი და არა ნებაყოფლობითი!!!

ბევრ ჩვენგანს ახსოვს 1992 წლის აგვისტოს სამხედრო მარში აფხაზეთისკენ, რასაც მოჰყვა ომი. არადა, ორი კვირით ადრე, გაეროში, საქართველოს გაწევრებასთან დაკავშირებით, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ავტონომიებთან არსებულ ყველა საკამათო საკითხს თბილისი მოლაპარაკების გზით გადაწყვეტსო!

მკითხველი ისე ნუ გამიგებს, თითქოს მარტო ჩვენი მხარე იყო დამნაშავე. არამც და არამც, როგორც აფხაზებს, ისე სამხრეთ ოსეთელებსაც მიუძღვით დიდი წვლილი თბილისთან ურთიერთობების გაუარესებაში.

ჩვენ ვამბობთ, ოსეთში, მენშევიკებმა სისხლიანი ლაშქრობა რომ მოაწყვეს, ოსთა აჯანყების ჩახშობას ისახავდაო მიზნად; 2008 წლის ცხინვალის დაბომბვა კი, იქ საქართველოს კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას. ომის გამჩაღებელი სააკაშვილი, მისი ხელისუფლება, ნაცმოძრაობა და საქართველოს საზოგადოების ნაწილი დღესაც თვლის, რომ ომი რუსეთმა დაიწყო. და ეს მაშინ, როდესაც საწინააღმდეგოს ამბობს ტალავინის სპეკკომისია, გაეროს დასკვნა...

თბილისისა და აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის ისტორიული და თანამედროვე ურთიერთობები მეცნიერთა ერთობლივ შრომას მოითხოვს. შეკრების ინიციატორი თბილისი უნდა იყოს. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი ჭეშმარიტების დადგენა და არა ერთმანეთის ლანძღვა-გინებით და უგუნური, არადიპლომატიური მოქმედებით.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲮᲐᲨᲘ, ᲩᲐᲘᲡ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲚᲔᲑᲗᲐᲜ..

ᲫᲐᲠᲗᲣᲚᲘ ჩაის სექტორში არსებულ გამოწვევებსა და მათი გადაწყვეტის გზებზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ სოლომონ პავლიაშვილმა და ჩაის მწარმოებლებმა წალენჯიხაში გამართულ შეხვედრაზე იმსჯელეს. სოლომონ პავლიაშვილმა, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილესთან, მალხაზ თორიასთან ერთად, ჩაის რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში რეაბილიტირებული პლანტაციები დაათვალიერა და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის აგროსაინჟინრო კვლევის სამსახურის მიერ ჩაის კომბინირებული აგრერატის მუშაობას გაეცნო.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2016 წლიდან ახორციელებს ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამას, რომლის მიზანიც საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის ეფექტიანად გამოყენება, ადგილობრივი ჩაის წარმოების ზრდის ხელშეწყობა, შედეგად, თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლება და საექსპორტო პოტენციალის გაზრდაა. პროგრამის ფარგლებშიმიმდინარეობს როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გაველურებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია, რომელიც მოსახლეობის დასაქმებასა და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას უწყობს ხელს. 2016-2018 წლების მონაცემებით, 959 ჰა ფართობ ჩაის პლანტაციის რეაბილიტაცია განხორციელდა, რომლის ჯამური ინვესტიციაც 2,5 მილიონ ლარამდეა.

ფერმერებთან შეხვედრაზე სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის აგროსაინჟინრო კვლევის სამსახურმა ჩაის მოვლა-მოყვანისთვის განკუთვნილი კომბინირებული აგრეგატი წარმოადგინა, რომლის საცდელი ნიმუშის გამოცდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს. აგრერატი ერთდროულად 4 ფუნქციას — გასხვლას, დაქუცმაცებას, სასუქის შეტანასა და ნიადაგის დამუშავებას ახორციელებს. უახლოეს მომავალში, მინსკის სატრაქტორო ქარხანასთან ერთად, აგრერატის სრულყოფა იგეგმება, რომელიც ფერმერებს საგრძნობლად შეუმსუბუქებს შრომას.

ᲒᲝᲛᲑᲝᲠᲔᲚᲔᲑᲘ ᲬᲧᲐᲚᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜ

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ მუნიციპალიტეტის სოფელ გომბორში მოსახლეობამ გზა გადაკეტა. ადგილობრივები სოფელში სასმელი წყლის პრობლემის მოგვარებას ითხოვენ.

როგორც ისინი ამბობენ, უკვე 15 წელია, აღნიშნული პრობლემა აწუხებთ და ყოველ ზაფხულს წყალი, ფაქტობრივად, არ მიეწოდებათ.

მათივე თქმით, საგარეჯოს მერიას თხოვნით და ოფიციალური წერილით არაერთხელ მიმართეს, თუმცა ამას რეაგირება არ მოჰყოლია.

აქციის მონაწილეების განცხადებით, ისინი არ დაიშლებიან, სანამ სოფელ გომბორში საგარეჯოს რაიონის მერის გიორგი ერბოწონაშვილისგან პირადად არ მიიღებენ პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით დაპირებას.

როგორც საქართველოს პირველი არხის ჟურნალისტი იუწყება, ადგილზე საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები იმყოფებიან. მხარის პოლიციის უფროსმა მოსახლეობას განუმარტა, რომ გზის გახსნის შემდეგ პირადად დაუკავშირდებოდა საგარეჯოს მერიას და ადგილზე მისი წარმომადგენელი აუცილებლად მივიდოდა. დაპირების შემდეგ, მოსახლეობამ გზა დროებით გახსნა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲛᲐ 11 ᲛᲚᲜ ᲚᲐᲠᲡ ᲒᲐᲓᲐᲐᲭᲐᲠᲑᲐ

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ რკინიგზის“ 2019 წლის 6 თვის მონაცემებით, მგზავრთა გადაყვანებიდან მიღებული შემოსავალი მნიშვნელოვნად გაიზარდა და 11 მილიონ ლარს გადააჭარბა. აღნიშნული მაჩვენებელი 20 %-ით მეტია მაგისტრალური გადაყვანებიდან მიღებულ შემოსავალზე და 51%-ით მეტი საერთაშორისო გადაყვანებიდან მიღებულ შემოსავალაზე გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. 2019 წლის 6 თვის ჭრილში გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა 1,277,312 შეადგენს, რაც ისტორიულად მაღალი მაჩვენებელია.

ამ შედეგების მიღება მრავალი ფაქტორითაა განპირობებული. მიუხედავად იმისა, რომ მგზავრთა გადაყვანები წამგებიან სეგმენტს წარმოადგენს და გარკვეულწილად სოციალურ ხასიათს ატარებს, კომპანიამ მოახერხა ტარიფების მინიმალურ დონეზე შენარჩუნებისა და სამგზავრო მატარებლების უტილიზაციის გაზრდის შედეგად მგზავრთა გადაყვანის ზარალის შემცირება. კომპანია ძალისხმევას არ იშურებს იმისთვის, რომ გააუმჯობესოს მომსახურება და მგზავრობა უფრო კომფორტული გახადოს.

„საქართველოს რკინიგზამ“ ბილეთების შეძენის მარტივი და კლიენტზე მორგებული სერვისი დანერგა. ახლა უკვე ბილეთების შეძენა მობილური აპლიკაციის მეშვეობითაც არის შესაძლებელი და მგზავრს საშუალება აქვს, აირჩიოს სასურველი ადგილები მატარებელში.

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲛᲐ ᲞᲐᲚᲔᲡᲢᲘᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲒᲠᲔᲕᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

„ᲠᲝᲘᲢᲔᲠᲘᲡ“ ინფორმაციით, ბულდოზერები ასობით პოლიციელის თანხლებით, პალესტინურ სოფელ სურ ბაჰერში შევიდნენ. აღნიშნული სოფელი სამხედრო ბარიერის სიახლოვეს მდებარეობს.

ადგილობრივ მოსახლეობაზე დაყრდნობით „როიტერი“ წერს, რომ ისრაელის პოლიციამ მოსახლეობის ევაკუაცია ძალდატანებით დაიწყო და შემდეგ სახლებზე ასაფეთქებელი მოწყობილობები დაამაგრა. ინციდენტი იერუსალიმის მომავალთან დაკავშირებით გაჭიანურებული უთანხმოების ბოლო რაუნდია. იერუსალიმში 500 ათასი ებრაელი და 300 ათასი პალესტინელი ცხოვრობს.

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲣᲚᲘ ᲛᲔᲓᲘᲐ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝ �კᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲡ ᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲡ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ „უკრაინსკაია პრავდას“ ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატების სიაში არიან „ნეფტოგაზის“ ტოპმენეჯერები ანდრეი კობოლევი და იური ვიტრენკო, ასევე უკრაინის თავდაცვისა და უსაფრთხოების საბჭოს მდივანი ალექსანდრ დანილიუკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდში უკრაინის წარმომადგენელი ვლადისლავ რაშკოვანი.

უკრაინაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები 21 ივლისს ჩატარდა. საარჩევნო ბარიერი ხუთი პროცენტია. პირველადი მონაცემებით. **ხმათა 42 პროცენტით ლიდერობს პრეზიდენტ ვლადიმირ ზელენსკის პარტია „ხალხის მსახური“, პრორუსულ „ოპოზიციურ პლატფორმას — სიცოცხლისთვის“ 12 პროცენტი აქვს, ექსპრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს „ევროპულ სოლიდარობას“ — 8 პროცენტი, იულია ტიმოშენკოს „ბატკივშინას“ — 8 პროცენტი, ხოლო სვიატოსლავ ვაკარჩუკის პარტია „ხმას“ — 6 პროცენტი.**

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲫᲕᲐᲠᲘ ᲞᲘᲠᲐᲛᲘᲓᲐ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ

ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲔᲛ 4600 წლის „მოხრილი“ პირამიდა მნახველთათვის გახსნა. დამთვალიერებლებს პირამიდის სიღრმეში, გვირაბებში ჩასვლა და იქ განლაგებული ოთახების ნახვა შეუძლიათ. პირამიდა ფარაონმა სნეფრუმ ძვ. წ. 2600 წელს ააშენა. იგი სრულიად განსხვავდება ეგვიპტის სხვა ცნობილი პირამიდებისგან, რომლებსაც უფრო სწორი გვერდები აქვთ.

სნეფრუს პირამიდის გვერდები კი მნიშვნელოვნად არის გამრუდებული. მეცნიერთა აზრით, გეგმის მიხედვით, პირამიდას ჩვეულებრივი ფორმა უნდა ჰქონოდა, მაგრამ მშენებლობის პროცესში სხვანაირი სტრუქტურა გახდა საჭირო, რადგან თიხიანი ნიადაგი, სადაც ის შენდებოდა, სტაბილურ საძირკველს ვერ უზრუნველყოფდა. ეგვიპტის სიძველეთა უმაღლესი საბჭოს გენერალური მდივნის მუსტაფა ვაზირის განცხადებით, პირამიდის მშენებლობისას ნაპრალები გაჩნდა. ამის კომპენსირებისთვის, მშენებლებმა ჩვეულებრივი პირამიდის გვერდების 54-გრადუსიანი კუთხე 43-გრადუსიანით შეცვალეს.

მართალია, ფორმა უჩვეულოა, მაგრამ ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ეგვიპტის პირამიდების მშენებლობაში, რადგან ერთგვარად ამოავსო ნაპრალი, რომელიც ადრეულ საფეხურებიან პირამიდებსა და გვიანდელ, მაგალითად, გიზის პირამიდებს შორის არსებობდა. მოხრილი პირამიდა ერთ-ერთია სნეფრუს მიერ აშენებულ სამ პირამიდას შორის. აღსანიშნავია, რომ თავად სნეფრუს დაკრძალვის ადგილი ამ დრომდე უცნობია. მკვლევართა ვარაუდით, შესაძლოა, ფარაონი სწორედ მოხრილ პირამიდაშია დაკრძალული და ჯერ არ აღმოგვიჩენია. პირამიდა 1956 წლის შემდეგ პირველად გაიხსნა. მიზანი, რა თქმა უნდა, ტურისტების მიზიდვაა განსაკუთრებით ნაკლებად მონახულებად ზონებში. დამთვალიერებლებს შესვლა ასევე შეუძლიათ 18 მეტრის სიმაღლის გვერდითა პირამიდაში, რომელიც სავარაუდოდ, სნეფრუმ თავისი ცოლის, ჰეტეფერესისთვის ააშენა.

ᲙᲔᲕᲘᲜ ᲡᲤᲔᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ ᲨᲔᲬᲧᲓᲐ

მᲐᲡ შემდეგ რაც კევინ სფეისის ძალადობაში მბრალმდებელმა ახალგაზრდა მამაკაცმა მეხუთედ შეიტანა შესწორება სარჩელში, პროკურორმა განაცხადა, რომ სასამართლო საქმის წარმოება ვერ გაგრძელდებოდა.

59 წლის ჰოლივუდის ცნობილ მსახიობს კევინ სფეისის ბრალად ედებოდა 18 წლის მამაკაცის მიმართ სექსუალური ძალადობრივი აქტის დამყარება 3 წლის წინ ნენტოქის რესტორანში.

უკანასკნელი კვირების მანძილზე სერიოზული ნიშნები იკვეთებოდა, რომლის მიხედვითაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაყენების რისკი არსებობდა, თუმცა გასულ თვეს დაზარალებულის ადვოკატმა განაცხადა, რომ კლიენტის მობილური ტელეფონი, რომელიც მიიჩნეოდა სამხილად, გაქრა, რის შემდეგაც სამართალწარმოება კევინ სფეისის მიმართ შეჩერდა. სასამართლო პროცესში პრობლემები გაჩნდა მას შემდეგ, რაც ბრალმდებელმა მეხუთეჯერ შეიტანა ცვლილებები სარჩელში, რომლის შემდეგაც სასამართლომ განაცხადა, რომ იგი შესაძლოა პასუხისგებაში მიეცეს, თუ დადასტურდა, რომ ტელეფონის სამხილის გაქრობა მისი მონაწილეობით მოხდა. სასამართლოში, სადაც საქმის წარმოება მიმდინარეობდა, პროკურორმა მაიკლ ო ქივ-მა, განაცხადა, რომ სასამართლო პროცესი წყდება მომჩივანი მხარის მიერ არასაკმარისი სამხილების წარმოდგენის გამო.

◎ ოლიმპიური ფესტივალი

„ვერცხლის“ სტარტი

აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში დაიწყო ევროპის ახალგაზრდობის XV ოლიმპიური ფესტივალი, რომელშიც საქართველოს წარმომადგენლებიც იბრძვიან მედლებისთვის. უკვე მოსინჯეს ძალები ახალგაზრდა ფალავნებმა: თავისუფალი სტილით ჭიდაობაში ნიკოლოზ სანთელაძემ (45 კგ) ჯგუფურ ეტაპზე პოლონელი ფაბიან ნიედზვიედკი და იტალიელი პაოლო ლუმია დაამარცხა, ნახევარფინალში რუს ელდარ ასაკაევს სძლია, ფინალი კი მასპინძელ მურად ჰაგვერდიევთან დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

მსგავს წარმატებას მიაღწია ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში რომეო ბერიძემ (55 კგ). ბაქოს ხალიჩაზე იგი მეორე წრიდან ჩაერთო პაექრობაში და ფრანგ იანის ნიფრისას ძლევის შემდეგ მასპინძელი ნიჰატ მამადლი დაამარცხა, ნახევარფინალში თურქი ბექირ ატესი დაჯაბნა, მაგრამ გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ბელარუს გლებ მაკარანკასთან ვერაფერს გახდა.

გივი გაგუა

◎ ძალოსნობა

ჩემპიონთა სამჭედლოში

14 რაიონის 100-მდე ათლეტი მონაწილეობდა ოლიმპიურ ჩემპიონ გიორგი ასანიძის სახელობის 17-წლამდელთა საქართველოს პირველობაში, რომელსაც საჩხერეში ოლიმპიურ ჩემპიონ ლაშა ტალახაძის დარბაზმა უმასპინძლა.

გურამ გიორბელიძემ, რომელიც 67 კილოში გამოდიოდა, ატაცსა და აკვრაში საქართველოს 17-წლამდელთა რეკორდები თითო კილოგრამით გააუმჯობესა. ამავე წონაში ვერცხლის მედალოსნმა თორნიკე ლომთაძემ ატაცში საქართველოს 15-წლამდელთა რეკორდს 4 კილოგრამით, ხოლო ორჭიდში 3 კილოგრამით გადაამეტა.

წონითი კატეგორიების მიხედვით პურველ ადგილებზე გავიდნენ: გიგა ოდიკაძე (ხაშური, 49 კგ) –122 (55+67), ბაჩუკი შამილიშვილი (ქობულეთი, 55) – 167 (77+90), გიორგი ხარაზიშვილი (ხაშური, ოლიმპიური მზადების ცენტრი, 61) – 217 (98+119), გურამ გიორბელიძე (ქუთაისი, 67) – 271 (121+150), ბონდო კილაძე (ხაშური, ომც, 73) – 235 (107+128), საბა ასანიძე (თბილისი, 81) – 269 (118+151), ლუკა ქაშიბაძე (წყალტუბო, ომც, 89) – 273 (118+155), საბა ანთაური (თბილისი, ომც, 96) – 279 (119+160), გიორგი კირვალიძე (საჩხერე, 102) – 290 (128+162), მიხეილ ადამია (თბილისი, 102) – 315 (142+173).

გოგონებში გამარჯვებულ-პრიზიორები სინკლერის სპეციალური ცხრილით გამოვლინდნენ. აღსანიშნავია, რომ 15 და 17-წლამდელთა შორის რამდენიმე რეკორდიც დამყარდა: წყალტუბოელმა მარიამ მაისურაძემ საკუთარი რეკორდები ატაცსა და აკვრაში თითო კილოგრამით, ხოლო ორჭიდში 2 კილოგრამით გააუმჯობესა, თან სპორტის ოსტატის ნორმატივიც შეასრულა; ზუგდიდელმა ნათია გადელიამ ატაცში 10 კილოგრამით, აკვრაში 3 კილოგრამით, ხოლო ორჭიდში 13 კილოგრამით გაზარდა სარეკორდო მაჩვენებელი. ხონელმა მარიამ მურღვლიანმა კი ატაცში 2 კილოგრამით და აკვრაში 3 კილოგრამით: მარიამ მაისურაძე (წყალტუბო) – 125 (57+68), ნათია გადელია (ზუგდიდი) – 157 (71+86), მარიამ მურღვლიანი (ხონი) – 127 (57+70), ლიზი შუბითიძე (საჩხერე) – 100 (45+55).

ლაშა დიდია

◎ ფარიკაობა

საპატიო მეშვიდეზე

ბუდაპეშტში მოფარიკავეთა მსოფლიოს ჩემპიონატში 32 ნაკრები ჩაება მოხმალავე ვაჟთა გუნდურ პირველობაში. ჩვენებმა (სანდრო ბაზაძე, მიხეილ მარდალეიშვილი, ბექა ბაზაძე, ნიკა შენგელია) პირველ წრეში ავსტრალია დაჯაბნეს – 45:18 და შემდეგ საფრანგეთის ნაკრებს შეხვდნენ.



თავიდან ქართველები დაწინაურდნენ, მაგრამ ფრანგებმა მალევე მოახერხეს მდგომარეობის გამოსწორება. ბოლო ორთაბრძოლის წინ ჩვენები ოთხი ქულით ჩამორჩებოდნენ მეტოქეს – 36:40. ამ დაძაბულ სიტუაციაში სანდრო ბაზაძემ ფრანგთა ლიდერ ვინსენ ანსტეტს 9:2 მოუგო და თავის გუნდს 45:42 გაამარჯვებინა. მერე ქართველი მოხმალავეები ზედიზედ დამარცხდნენ იტალიელებსა (33:45) და ირანთან (42:45), სამაგიეროდ, რუმინელები დაჯაბნეს – 45:33 და მეშვიდე ადგილზე გავიდნენ.

ლექსო ცინცაძე

◎ კალათბურთი

ძველი ნაცნობები

საქართველოს ეროვნული საკალათბურთო ნაკრები ევრობასკეტ 2021-ის საკვალიფიკაციო ეტაპზე E ჯგუფში სერბეთს, ფინეთსა და შვეიცარია/პორტუგალია/ისლანდიას შორის უმჯობესს შეხვდება.

ეს გუშინ გერმანიის ქალაქ მიუნხენში გამართული წილისყრის დროს გაირკვა, რომლის დროსაც 32 ევროპული გუნდი 8 ჯგუფში გადანაწილდა და მომავალი წლიდან ფინალურ ეტაპზე გამსვლელი 24 საგზურისთვის იბრძოლებს.

საინტერესოა, რომ წილისყრის პროცედურაში მონაწილეობა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ვლადიმერ ბოისამაც** მიიღო და ეს შემთხვევით არ მომხდარა.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველო გერმანიასთან, ჩეხეთთან და იტალიასთან ერთად იმ ქვეყნებს შორისაა, რომლებიც ევროპის პირველობის ფინალურ ჯგუფებს უმასპინძლებენ და ეს ოთხეული ტურნირში მონაწილეობას ყველა ვარიანტში მიიღებს, მიუხედავად იმისა, შესარჩევ ციკლში როგორი შედეგები ექნება.

გათამაშების ფორმატის თანახმად, ევრობასკეტის 24 საგზურს თითოეული (8) ჯგუფის 3 საუკეთესო ნაკრები მოიპოვებს. იმ ჯგუფებიდან, სადაც მომავალი ფორუმის მასპინძელი ქვეყნები მოხვდნენ, ევრობასკეტზე 2 საუკეთესო ითამაშებს, რომლებსაც, ნებისმიერ ადგილზე გასვლის შემთხვევაში, სწორედ ერთ-ერთი მასპინძელი დაემატება.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ჩოგბურთი

მონაპოვრის დასაცავად

დღეს ჰამბურგის კორტებზე იწყება ATP500 კატეგორიის პრესტიჟული საჩოგბურთო ტურნირი, სადაც საპრიზო თანხა მილიონ 700 ათასი ევროა.

ძირითადი ბადის წილისყრამ გერმანიის მოქმედ ჩემპიონ და მეოთხე განთესვის მქონე ნიკოლოზ ბასილაშვილის პირველ მეტოქედ მსოფლიოს 94-ე ჩოგანი, 26 წლის ბოლივიელი უგო დელიენი დაასახელა, რომელსაც აქამდე არ შეხვედრია. აღნიშნული ბარიერის წარმატებით გადალახვის შემთხვევაში ჩვენი თანამემამულე, რომელიც რეიტინგში მე-16 პოზიციაზეა, იტალიელ სალვატორე კარუზოსა და არგენტინელ ხუან-იგნასიო ლონდეროს შორის გამარჯვებულთან გაარკვევს ურთიერთობას, ხოლო თუ მეოთხედფინალში გავა, იქ მეხუთე ნომრად განთესილ ფრანგ ბენუა პერისთან სავარაუდო დუელი ელოდება.

დავძენთ, რომ ნიკას შარშანდელი ტრიუმფისთვის მოპოვებული 500 სარეიტინგო ქულის დაცვაც მოუწევს, საერთაშორისო კლასიფიკაციის საუკეთესო ოცეულში ადგილის შესანარჩუნებლად კი მინიმუმ ნახევარფინალამდე მიღწევა მართებს.

ჰამბურგში განთესილნი:

1. დომინიკ ტიმი (ავსტრია); 2. ალექსანდრ ზვერევი (გერმანია!); 3. ფაბიო ფონინი (იტალია); 4. ნიკოლოზ ბასილაშვილი (საქართველო); 5. ბენუა პერი (საფრანგეთი); 6. ლასლო ჯერე (სერბეთი); 7. იან-ლეონარდ შტრუფი (გერმანია); 8. კრისტიან გარინი (ჩილე).

კობა კობახიძე

◎ სტუმარი

რივალდო საქართველოშია!

ლეგენდარული ბრაზილიელი ფეხბურთელი რივალდო საქართველოშია. თბილისში გამომგზავრების ამსახველი ფოტო ფეხბურთელმა Instagram-ზე გამოაქვეყნა

„აჭარაბეთის“ ინფორმაციით, რივალდო ფილმში „არენა“ ითამაშებს. გადაღებებს წყალტუბო უმასპინძლებს და რივალდოსთან ერთად ფილმში სხვა ცნობილი ადამიანებიც მიიღებენ მონაწილეობას.

„მოხარული ვარ, რომ კიდევ ერთხელ გესტუმრეთ. საქართველო ძალიან მიყვარს და სიამოვნებით დავთანხმდი შეთავაზებას, adjarabet.com-ის სპორტის ამბასადორი გავმხდარიყავი“. ფილმში გადაღება საინტერესო გამოცდილებაა და ქართველ ვარსკვლავებთან ერთად მასში მონაწილეობა ჩემთვის დიდი პატივია“, – განუცხადა რივალდომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში შეკრებილ ჟურნალისტებსა და გულშემატკივრებს.

ბეჟან დოლიძე

◎ ფეხბურთი

ბოდიში უშველის?!

არგენტინის ეროვნული ნაკრებისა და კატალონიის „ბარსელონას“ შემტევმა ლიონელ მესიმ კონმებოლის (სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია) კრიტიკის გამო ბოდიში მოიხადა. აღნიშნული ინფორმაცია La Nacion-მა გაავრცელა.

ჩილესთან კოპა ამერიკაზე გამართულ მატჩში მესი 37-ე წუთზე გააძევეს მინდვრიდან. შეხვედრის შემდეგ ფეხბურთელმა კონმებოლი კორუფციაში დაადანაშაულა, მსაჯები გააკრიტიკა და დაიჩივლა, რომ ყველაფერი ბრაზილიის გასაჩემპიონებლად კეთდება.

აღნიშნულის განცხადებების გამო კონმებოლის სადისციპლინო კომიტეტმა მესის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო, არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ კი წერილი გააგზავნა, სადაც საუბარია, რომ მესიმ ყველაფერი სტრესულ სიტუაციაში თქვა და ბოდიშს იხდის. როგორც La Nacion-ი იუწყება, ლიონელს ბოდიშის გამო დისკვალიფიკაცია აღარ ემუქრება.

გიორგი შოთაძე



სიახლე ჭავჭავაძის გამზირზე

რა სარგებელს იძლევა ავტობუსის ზოლის გზის შუაში გატარება?

საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებული ფრანგული კომპანია „სისტრას“ გადაწყვეტილებით, თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე, გზის რეაბილიტაციის შემდეგ, ავტობუსების ზოლები შუაში განთავსდება.

„კომპანია „სისტრამ“ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება, ავტობუსის ზოლები ქუჩის შუა ნაწილში იქნება განთავსებული. შესაბამისად, ასევე მოეწყობა ინფრასტრუქტურა, თავისი გაჩერებებით, ამრიდი ზოლებით, ზებრა-გადასასვლელებით, რათა ადამიანებმა, რომლებიც საზოგადოებრივი ტრანსპორტით ისარგებლებენ, შეძლონ გაჩერებიდან ქუჩის ერთ ან მეორე მხარეს გადასვლა. საინტერესო წინადადებაა. ამ მიდგომით აქვთ გაკეთებული, რომ შუაში იყოს ავტობუსის ზოლები და გვაჩვენეს გრაფიკულად, როგორი იქნება გადაადგილება“, — განაცხადა კახა კალაძემ ჭავჭავაძის გამზირზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების დათვალიერებისას.

კომპანია „სისტრას“ გადაწყვეტილებას იწონებენ სპეციალისტებიც. არასამთავრობო ორგანიზაციის „ურბანული ლაბორატორიის“ ხელმძღვანელის გიორგი ბაბუნაშვილის თქმით, აშკარაა, რომ ავტომობილებისთვის მოკლებულ ზოლებს საზოგადოებრივი ტრანსპორტი უფრო ეფექტიანად გამოიყენებს.

„კარგია, რომ პოლიტიკის დონეზე ხდება იმის გააზრება, რომ ავტობუსი რამდენიმე ათეული მგზავრით არ უნდა იდგეს საცობში მანქანების გამო, ხოლო ურბანული გარემოს რეალური გაუმჯობესება ხდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის ტევადობის და სიჩქარის გაზრდით“, — ამბობს გიორგი ბაბუნაშვილი.

რეაბილიტირებულ ჭავჭავაძის გამზირზე ავტობუსების ზოლების შუაში განთავსება რომ ავტობუსების გადაადგილების სიჩქარეს გაზრდის, ამაში ეჭვი არ ეპარება არასამთავრობო ორგანიზაციის „თბილისის ტრამვაის“ წარმომადგენელს ბექა ნინიკურს.

„როცა ავტობუსის ზოლი ნაპირზე კეთდება, ყოველთვის იქმნება პრობლემები: რამდენი შესახვევიცაა მარჯვნივ, იმდენჯერ მოუწევს მძღოლს სიჩქარის შენელება, შესაბამისად, ასეთი „ბასლაინი“ ვერ იმუშავებს ეფექტიანად. გავითვალისწინოთ ისიც, რომ ყოველ 100-200 მეტრშია შესახვევი. გამოდის არა განცალკევებული, არამედ შეთავსებული ზოლი. როცა „ბასლაინი“ შუაშია, ეს შენელებები აღარ არის და ავტობუსის მოძრაობის სიჩქარეც შესაბამისად მაღალია“, — ამბობს ბექა ნინიკური, რომლის თქმითაც, ავტობუსების ზოლების შუაში გადატანა გაზრდის ინფრასქტრუქტურულ ხარჯებს.

„მეტი „ზებრა“ უნდა დაიხაზოს, მეტი ღილაკიანი შუქნიშანი უნდა დაიდგას და ასევე უნდა მოეწყოს კუნძულოვანი პლატფორმები გზის შუაში, თუმცა ამ უკანასკნელის გარდა, „ზებრები“ და შუქნიშნები ისედაც უნდა გაკეთებულიყო“, — ამბობს იგი.

ჭავჭავაძის გამზირის სრული რეაბილიტაცია თბილისის მერიას 13 მილიონი ლარი უჯდება. რეაბილიტაციის ფარგლებში სრულად მოწესრიგდება როგორც საგზაო ინფრასტრუქტურა, ასევე, მიწისქვეშა კომუნიკაციები და გარე განათება.

ჯიმშერ რეხვიაშვილი

გვიმრავლოს!

სამშობლოსათვის დაბადებული

მატებაა ჯაველიძეებისა და დვალების სამოყვროში — ლაშა და ნატო პირველი გოგონას მშობლები გახდნენ.

ვინა თქვა, რომ 13 თარსი რიცხვია. არ დაიჯეროთ — სწორედ 13 ივლისს, სვეტიცხოვლობას მოევლინა ქვეყნიერებას თვალხატულა ელენე, საფიცარი სამშობლოს საამაყო მანდილოსანი რომ უნდა გახდეს.

დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, ძვირფას შვილიშვილს მაგალითს ღირსეული მამულიშვილნი — უკვე ოთხგზის ბაბუა, საქართველოს უღალატო მოჭირნახულე ელიზბარ ჯაველიძე და ჩვენი სამეგობროს ბურჯი, სიკეთის ქმნის განსახიერება მერაბ დვალი მისცემენ, ვისთვისაც პირმშვენიერი ელენე პირველი სიხარულია.

გილოცავთ!

ამირან გოგიბერიძე, მურთაზ ბერიძე, გია პლატონიშვილი

მოსალოდნელია ძლიერი წვიმა და ქარი

23-25 ივლისს საქართველოში მოსალოდნელია დროგამოშვებით ხანმოკლე წვიმა ელჭექით, 25 ივლისს ზოგან ძლიერი, შესაძლებელია ქარის გაძლიერება და სეტყვა. ჰაერის ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს დაბლობში +22,+27, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ბარში +28,+33 გრადუსია მოსალოდნელი.

ქ. თბილისში ღამისა და საღამოს საათებში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა ელჭექით. 25 ივლისს იქროლებს ჩრდილო-დასავლეთის მიმართულების ქარი. ჰაერის ტემპერატურა +31,+33 გრადუსი დაფიქსირდება.

სულთათანა

ზუგდიდის მე-2 საშუალო სკოლის 1958 წლის კურსდამთავრებულთა სახელით ლეილა კალანდია, გული დარასელია, ფასო შელია, აზა ჩიხლაძე, კლარა ბაღდასაროვა, იური გუგუჩია, მურთაზ ფაცაცია, ჯემალ კვირტია, ჯემალ შენგელია, თორნიკე ფაცაცია, ჯანიკო გულორდავა მწუხარებას გამოვთქვამთ შესანიშნავი მეგობრის, დამსახურებული საზოგადო მოღვაწისა და ყველასთვის საყვარელი პიროვნების

როზა ჯიქიას

გარდაცვალების გამო და ვუსამძიმრებთ განსვენებულის ოჯახს და მეგობრებს. უფალმა ნათელში გვიმყოფოს მისი სპეტაკი სული.

◎ თითქმის ნატურიდან

ქართველი ჰომოები

ჩუმლაყელ **დათუას და მიტუას კახური გულყვითელა ღვინო გაუტკბათ და ქეიფს გვიანობამდე შეჰყვნენ.**

— ამ ჭიქითა, — თქვა მიტუამ, — მოდი, ჩვენი წინაპრები გავიხსენოთ. მაგათ ისეთი კაცობა და ტრადიციები დაგვიტოვეს, ჩვენგან შენდობას ნამდვილად იმსახურებენ.

— ეგა, ჩემო ძმაო, ადრევე უნდა გეთქვა, — დატუქსა დათუამ.

— ადრე არ ივარგებდა, — თავი იმართლა მიტუამ, — ის ზუსტად მაშინ უნდა ვთქვათ, როცა თავში ღვინო გვარიანად გაგვიჯდება.

— მანამდე რა, არ მიუვათ?

— არა, ღვინო რო ჯანში გაგვიჯდება, მერე თურმე საიქიოსთან დალაპარაკება იოლდება.

— ეგ ვიღამ გითხრა?

— კენკებიანთ გუბაზამ, მაგას ხო იცი, არაფერი შეეშლება. მობილურის ზარი თურმე იქამდე ვერ გადის, ერთადერთი ღვინოა, რომელიც სააქაოს საიქიოსთან აკავშირებსო.

— ვაა, — ტაში შემოჰკრა დათუამ, — რა მაგრა უთქვამს, კაცოო!

— მააშ, — გახალისდა მიტუა, — ჰოდა, ამ გახსენებაზე, ჩემო დათო, მოდი საკუთრივ ღვინის სადღეგრძელო ვთქვათ.

— ვთქვათ, ვთქვათ, — აცმუკდა დათუა.

— გაუმარჯოს ამ კეთილშობილურ ნაჟურს, რომელმაც ქართველებს მთელ მსოფლიოში გაგვითქვა სახელი. ეს რომ არ გვქონოდა, ჩვენი ფასი კაპიკი იქნებოდა.

— ეგრეა, ეგრე, მაგ დამპალ გვარამიას რომ არ წაეხდინა საქმე. გაიგე, კაცო, მაგ უნამუსომ რა შემოგვითვალა კახელებს? — ემაგ სანაქებო ღვინოში ჩაგიფსითო!

— მაგ უნიფხო ჩუტყვერას უთხარი, არსად გადამეყაროს, თორე... მაგ ბინძურ თავს თავის ნაქნარში ჩავაყოფინებ! — დაიქადნა დათუამ.

— გეთანხმები, — თქვა სიტუაციის განსამუხტად მიტუამ, — და შემდეგ სადღეგრძელოზე გადავიდა: მოდი, მომდევნო სასმისით ჩვენს ჰომოებს გაუმარჯოთ...

— ვისა, ვისა? — ყურები ცქვიტა დათუამ.

— ჰომოებს... შენ რა, ჰომოები არ გაგიგია? მე მაგათ „კლიჩკასა“ ვხმარობ, თორემ ისე გაშლილად ჰომოსექსუალებს ეძახიან.

— ერთი მაგათი დედაც!.. — შეიკურთხა დათუამ, — მაპატიე, მაგრამ მე მაგათ სადღეგრძელოს ვერ დავლევ.

— რატო, ძმაო, რა დაგიშავეს?

— პედერასტები არიან და იმიტომ.

— ეგ შენ გგონია პედერასტები, თორემ სინამდვილეში დასავლურად განსწავლულ-გადემოკრატებული ინტელექტუალები არიან.

— შენ როგორც გინდა მოუჩლიქე ენა, მე მაგათ სადღეგრძელოს მაინც არ დავლევ.

— ტყუილად ბაზრობ, ჩემო დათუჩ, — სიმართლე თუ გინდა იცოდე, თურმე ჩვენ ყველა მოქეიფე ქართველები ჰომოები ვართ.

— გაგიჟდი, ჯო! მე ჰომო როგორა ვარ?! — დაახეთქა ჭიქა დათუამ.

— აბა, ვინა ხარ? სუფრაზე გრძელ-გრძელი სადღეგრძელოები, გატრეტილ ძმაკაცებთან ჩახუტება და ლოშნაობა რო გიყვარს, ესე იგი ჰომო ხარ.

— გინდა თქვა, რომ ჩვენ და დასავლელი ჰომოები ერთი და იგივენი ვართ?

— არა, ისინი პედერასტი ჰომოები არიან, ჩვენ — მოქეიფე ჰომოები.

— მაშ, ისინი ვიღა არიან, წუპაკ ნაცებს რო დაუძმაკაცდნენ და რუსთაველზე გაუთავებელ აქციებს მართავენ?

— ეგენი, ჩემო დათუჩ, სახელმწიფოს გადამტრიალებელი პედერასტები არიან.

— მერე, გადაატრიალონ თუ ასე ძალიან უნდათ, მაგრამ გახარიას რას ერჩიან?

— ხო ნახე, ამის უფლება არ მისცა და ამიტომ ებრძვიან.

— ღმერთსა მადლი, რომ გახარია მაგრად დაუდგა, თორემ პარლამენტში რომ შეეღწიათ, როგორ ფიქრობ, რა მოხდებოდა?

— ნუთუ ვერა ხვდები, რა მოხდებოდა? ნაცები და პედერასტები ხელისუფლებას გადაინაწილებდნენ, სასწრაფოდ კანონს მიიღებდნენ და კაცის კაცზე და ქალის ქალზე დაქორწინებას გააჩაღებდნენ, თანაც ყოველდღე გეი-აღლუმების ცქერით გაგვაბედნიერებდნენ.

— მერე?

— მერე ისა, რომ კოჰაბიტაციურ პონტში ვიცხოვრებდით, ნაცები და მეოცნებენი დღემდე განა ასე არ ცხოვრობენ?

— მიტუავ, ერთი ეგ გამაგებინე, ჩვენ კი უკვე თავი ქუდში გვაქვს, მაგრამ ამ მხრივ ჩვენს მეზობელ ქვეყნებში რა სიტუაციაა?

— ცუდი, ძალიან ცუდი, არც სომხეთში და არც აზერბაიჯანში ერთნაირსქესიანთა ქორწინების კანონის მიღება ჯერ თავშიც არ მოსვლიათ.

— არც რუსეთში?

— ეგენი მთლად წყალწაღებულნი არიან. რუსების ამბავი ხომ მოგეხსენება, ერთ ჭიქა არაყს დაურტყამენ და ქეიფის დაწყებამდე უკვე გათიშულები არიან. მაგათთან რა ჰომოსექსუალობასა და კოჰაბიტაციაზე შეიძლება საუბარი?!



ოტია ჩართოლანი

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი

23 ივლისი არის პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის აღნიშვნის დღე. 1999 წლის 23 ივლისიდან 28 ივლისამდე, ღია კოსმოსურ სივრცეში სრულად გაიშალა და წარმატებით გამოიცადა პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი, რომელიც 28 ივლისს ჩამოსცილდა ორბიტულ სადგურს და დაიწყო მოძრაობა დამოუკიდებელ ორბიტაზე.

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი - გასაშლელი რეფლექტორი მაქსიმალური გაბარიტით 6,42 მეტრი, დაპროექტდა, დამზადდა, წინასაფრენოსნოდ გამოიცადა, მომზადდა კოსმოსში გასაგზავნად და ორბიტაზე ჩასატარებელი ექსპერიმენტის ძირითადი მიმართულებები განისაზღვრა საქართველოში, საქართველოს მოქალაქეების მიერ.

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გენერალური კონსტრუქტორია აკადემიკოსი, გენერალ-მაიორი ელგუჯა მემმარიაშვილი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქოვანის (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოზულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8845; ევრო - 3.2410;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6177;
100 რუბლი - 4.5787; თურქული ლირა - 0.5109;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6982;
1000 სომხური დრამი - 6.0662.

ამინდი 23 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+19,	დღე	+34
მთიანი რაიონები -	ღამე	+14,	დღე	+29
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+17,	დღე	+29
მთიანი რაიონები -	ღამე	+15,	დღე	+29
თბილისი:	ღამე	+23,	დღე	+32

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge